პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორშაბათი
22 იანვარი
1940 წ.
№ 18 (5719)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

35 წლის წინათ, 1905 წლის 9 იანვარს, მეფის მთავრობამ პროვოკატორ გაპონის დახმარებით მუშათა სისხლით მორწყო პეტერბურგის ქუჩები. 9 იანვრის ამბები, რომელიც ცნობილია „სისხლიან კვირის" სახელით, წარმოადგენდა რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისს.

1905 წლის რევოლუცია — ეს იყო „გენერალური რეპეტიცია" დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებისათვის.



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

მხატვ. პ. ვასილიევის ნახატი

ლენინიზმი უკვდავია

თექვსმეტი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც შესწყდა გულისცემა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — უდიდესი გენიოსის, რომლის სახელი და საქმენი საუკუნეთა განმავლობაში იცოცხლებენ.

რევოლუციური აზროვნებისა და მოქმედების ბუმბერაზმა, ლენინმა თავისი პიროვნებით განასახიერა მძლავრი ძალა და კეთილშობილური მგზნებარება, ისტორიული სიმართლე და ღრმა სიბრძნე, უდრეკი გამბედაობა და მამაცობა მუშათა კლასისა, რომელიც მოწოდებულია ექსპლუატაციისა და მონობის ჩიხიდან თავისუფალი შემოქმედებითი შრომის, საამური და ბედნიერი ცხოვრების სამყაროში გამოიყვანოს კაცობრიობა.

ქვეყანაში, სადაც უდიდესი სახალხო რევოლუცია იყო ჩასახული, ლენინმა მაღლა ასწია მარქსისტული მოძღვრების ჩირაღდანი და ჩაუქრობელ შუქურად გადააქცია იგი მთელი დედამიწის მშრომელთათვის. მან შექმნა და გამოზარდა ახალი ტიპის პარტია, ბოლშევიკების პარტია, რომელიც იბრძვის ცოცხალი, შემოქმედებითი მარქსიზმის უძლეველი დროშით.

იმ გრანდიოზული ისტორიული ბრძოლების ეპოქაში, რომლებმაც ბურჟუაზიული საზოგადოების ყოფნა-არყოფნის საკითხი დასვეს, ლენინმა გიგანტურად გაამდიდრა მარქს-ენგელსის დიადი, უძლეველი მოძღვრება. მან ბოლომდე გამოაშკარავა რეაქციული, ზეზეურად ლპობადი კაპიტალიზმის უღრმესი და შეურიგებელი წინააღმდეგობანი და სოციალიზმის განხორციელების გზების ზუსტი მეცნიერული ცოდნით შეაიარაღა პროლეტარიატი. მარქსიზმის მოღალატეებთან და მტრებთან ბრძოლაში მის მიერ გამოჭედილი უკვდავი მოძღვრება ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ გადაიქცა მოქმედების სახელმძღვანელოდ მთელი ისტორიის მანძილზე უდიდეს რევოლუციაში, სოციალისტურ რევოლუციაში.

ლენინის წინამძღოლობით ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, დაამსხვრიეს კაპიტალიზმის ხუნდები, დაამარცხეს რევოლუციის მტრები და დედამიწის მეექვსედ ნაწილზე შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას — უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ლენინის სტრატეგიულმა გენიამ და ტაქტიკურმა ხელოვნებამ დიდად შეუმსუბუქა მშობიარობის ტკივილები ახალ მსოფლიოს. მისი ბრძნული წინასწარდასახულობანი სოციალიზმის შემდგომ გამარჯვებათა რკინის სამირკვლად გადაიქცნენ.

ლენინი უკვდავია, ისე როგორც უკვდავია მუშათა კლასი და მშრომელი კაცობრიობა, რომელსაც მან უკლებლივ შესწირა თავისი ჭკუისა და ნებისყოფის ბუმბერაზული ძალა, მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე. ლენინი უკვდავია, ისე როგორც უკვდავია სოციალიზმის საქმე, სსრ კავშირში და მთელს მსოფლიოში კომუნიზმის სრული გამარჯვების საქმე — ლენინის მთელი ბრძოლისა და მოღვაწეობის მიზანი და აზრი.

ლენინი ცოცხლობს სსრ კავშირში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაში, რაც მოპოებულია მისი საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ლენინი ცოცხლობს ჩვენი სამშობლოს საოცარ გარდაქმნაში, სამშობლოსი, რომელმაც უმოკლეს ვადაში მოიშორა საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სამოსელი და მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. იგი ცოცხლობს ბედნიერ სოციალისტურ ცხოვრებაში, რომელიც საბჭოთა ხალხის ხვედრი გახდა. იგი ცოცხლობს საბჭოთა პატრიოტების მშვენიერ საქმეებში, რომლებსაც სამშობლოს სასახელოდ სჩადიან არქტიკის ყინულოვან სივრცეებზე და ფერგანის მცხუნვარე მზის ქვეშ, თეთრფინელებთან ბრძოლის ველებზე და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ასპარეზზე დაზგებთან და შახტებში, ქარხნებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში.

ლენინი ცოცხლობს გენიალურ სტალინურ ხელმძღვანელობაში, რომელსაც ახალ-ახალ გამარჯვებებისაკენ მიჰყავს ჩვენი სამშობლო. **სტალინი — ეს არის ლენინი დღეს.** ამხანაგმა სტალინმა ლენინის ანდერძი მშობლიური და მახლობელი გახადა მილიონობით ადამიანთათვის, ეს ანდერძი გადაიქცა საბჭოთა ხალხის მიერ სოციალიზმისათვის წარმოებული თავდადებული ბრძოლის პროგრამად. ამხილა რა ტროცკისტ-ბუხარინელ და ყოველგვარ სხვა მოღალატეთა და გამცემთა საზიზღარი თეთრგვარდიული ზრახვები, ამხანაგმა სტალინმა დაიცვა მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდე. მან ყოველმხრივ დაამუშავა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება და მისი საგანძური გაამდიდრა მთელი რიგი უდიდესი მეცნიერული აღმოჩენებით, რომლებმაც მკაფიოდ გაუშუქეს საბჭოთა ხალხს ყველა მტერზე გამარჯვების გზა, უჩვენეს გზა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

როცა ლენინი გარდაიცვალა, ამხანაგმა სტალინმა ფიცი დასდო, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდებით მის ანდერძს. მან, რომელიც ლენინთან ხელიხელჩაკიდებული აშენებდა ბოლშევიკების პარტიას, ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის ბრძოლას და გამარჯვებას ოქტომბრის ბარიკადებზე და სამოქალაქო ომის ფრონტებზე, წმინდად შეასრულა ეს ფიცი.

ლენინის გარდაცვალების წელს ჩვენი ქვეყანა მხოლოდ იწყებდა იმ ღრმა ნგრევიდან გამოსვლას, რომელიც მემკვიდრეობად დაგვიტოვა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის ხანგრძლივმა წლებმა. ახალგაზრდა სოციალისტური წყობილება ჯერ კიდევ უფრო სუსტი იყო, ვიდრე ძველი მტაცებელი — კაპიტალიზმი, რომელიც დამხობილი იყო, მაგრამ არა განადგურებული. საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი ამოცანები ჯერ კიდევ გადასაჭრელი იყო.

საჭირო იყო ქვეყნის გამოყვანა სამეურნეო ნგრევიდან აყვავებისა და წარმატების გზაზე. საჭირო იყო მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა, რომელიც, როგორც ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, წარმოადგენს სოციალიზმის ძირითად ბაზას, ისეთ ძალას, რომელსაც მიწათმოქმედების გარდაქმნაც შეუძლია. საჭირო იყო მუშათა კლასის დიქტატურის მოპოების შემდეგ სოციალიზმის ყველაზე რთული, ყველაზე ძნელი ამოცანის — მილიონობით წვრილ და უწვრილეს გლეხური მეურნეობების სოციალიზმის რელსებზე გადაყვანის ამოცანის გადაჭრა. საჭირო იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლუატატორული კლასის — კულაკობის დამარცხება აშკარა ბრძოლაში.

საჭირო იყო საბჭოთა ხალხის შრომა შეგვეიარაღებინა მძლავრი მოწინავე ტექნიკით, მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრისაგან ეკონომიურად დამოუკიდებელი გაგვეხადა ჩვენი ქვეყანა, პირველხარისხოვანი თანამედროვე ინდუსტრიის მტკიცე ბაზაზე აგვეგო ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა.

ეს გიგანტური გარდაქმნანი, რომელთაც მოკლე ვადაში სრულიად შეუცვალეს სახე ჩვენს სამშობლოს, წარმატებით განხორციელებულ იქნენ ბრძნული სტალინური ხელმძღვანელობის მეოხებით.

ლენინის ანდერძი განხორციელდა. იგი ხორცშესხმულია სოციალისტური ინდუსტრიის ულამაზეს მძლავრ გიგანტებში და აყვავებულ საკოლმეურნეო წყობილებაში; წითელი არმიის მზარდ ძლიერებასა და სოციალისტური კულტურის საოცარ გაფურჩქვნაში; ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილ ახალ შესანიშნავ კადრებში და სტალინური კონსტიტუციის ოქროს ასოებით დაწერილ მუხლებში.

სტალინურ ხუთწლედებში, სტალინის მოძღვრებაში სოციალისტური სახელმწიფოს, მისი როლისა და ფუნქციების შესახებ, უმდიდრეს განძებში, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა შესძინა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, ლენინის იდეები ცოცხლობენ, ვითარდებიან, უძლეველი ძალით არიან მოსილნი. ამხანაგ სტალინის სახელი სიმბოლოა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა, რომელიც მოპოებულია სოციალიზმის ბრძოლებში.

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობამ საბჭოთა ხალხი შეაიარაღა მესამე სტალინური ხუთწლედის დიდებული პროგრამით, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროგრამით, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის პროგრამით. მესამე ხუთწლედი ჩვენი გამარჯვების დროშად გადაიქცა სოციალიზმის ისტორიულ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან.

განვლილი წლის მანძილზე ჩვენი პარტია შეივსო მრავალი ასეული ათასი ახალი კომუნისტით, სტალინური „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლამ მძლავრი იმპულსი შექმნა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, ჩვენი კადრების იდეურ-თეორიული გამოწრთობისათვის. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს. ეს გამარჯვება აგვირგვინებს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს გარდაქმნას სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმები მრეწველობაში, სოციალისტური სოფლის მოწინავეთა მიღწევები, აღზევებული სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ფერგანის გამოცდილება, რომელიც უკვე გადაიღეს ათობით სხვადასხვა ადგილას, ფართო მოძრაობა იმისათვის, რომ ოთხ წელიწადში შესრულებულ იქნას მესამე ხუთწლედის დავალებანი შრომის ნაყოფიერების დარგში — ყოველივე ეს ახალ ფურცელს გადაშლის ლენინის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლის სახელოვან ისტორიაში — შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განმტკიცებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ბრძნული ლენინურ-სტალინური საგარეო პოლიტიკის მეოხებით გიგანტურად გაიზარდა სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების ყოველნაირად განმტკიცების ლენინურ-სტალინური პოლიტიკის მეოხებით განუზომლად გაიზარდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.

შეურიგებელი წინააღმდეგობანი სჯიჯგნიან კაპიტალისტურ მსოფლიოს, რომელიც გაყოფილია მეორე იმპერიალისტური ომის ცეცხლის მიჯნებით. ქაღალდის ხუხულასავით დაინგრა პანების პოლონეთი — ვერსალის სისტემის მახინჯი პირმშო, რომლის სიდამპლეს დაუღალავად ააშკარავებდა ლენინი. ლენინის ანდერძის ერთგულმა დიადმა საბჭოთა ხალხმა პანების უღლისაგან გაათავისუფლა დასავლეთ-უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ცამეტმილიონიანი მოსახლეობა და ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ფინელ ხალხს მანერჰაიმ-ტანერის ჯალათური ბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში. წითელი არმიის პოლკებმა უჭკნობი დიდებით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები მშრომელი კაცობრიობის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვაი უგუნურთ, რომლებიც ცდილობენ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი! მათ აღგვის ხალხის აღშფოთების გრიგალი.

ყოველგვარი დაბრკოლებისა და ზღუდეების გადალახვით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები იჭრებიან მილიონობით ადამიანთა გულში, უღვიძებენ მათ უმწვავეს სიძულვილს მჩაგვრელებისადმი, კომუნიზმისათვის — კაცობრიობის მომავალი ბედნიერი საუკუნისათვის ბრძოლის მგზნებარე ნებისყოფას. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება ყოვლისშემძლეა, ვინაიდან იგი სწორია.

ლენინის საქმემ გაიმარჯვა სსრ კავშირში, იგი გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

„პრავდის" მოწინავე, 21/I

მოსკოვი, კრემლი

ხალხთა ბელადს — ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ქ. თბილისის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის კრება, სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით შემდგარი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, ხალხთა დიდ ბელადს.

თექვსმეტი წლის წინათ, როდესაც სიკვდილმა შესწყვიტა დიდი ლენინის სიცოცხლე, თქვენ, ამხანაგო სტალინ, ლენინის მეგობარმა და თანამებრძოლმა, მტკიცედ აიღეთ ხელში დიდებით მოსილი დროშა მარქსიზმ-ლენინიზმისა და ლენინის მიერ ნაანდერძევი გზით გაუძღვით ბოლშევიკების პარტიას და მთელ მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს.

დიდი ლენინის კუბოსთან, მთელი მსოფლიოს წინაშე, თქვენ დასდეთ ისტორიული ფიცი ლენინის უკვდავი ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლისა.

თექვსმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, და დღეს, თვალს ვავლებთ რა განვლილ გზას, სრული უფლებით ვეუბნებით მთელს მსოფლიოს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით პარტიამ და ხალხმა შეასრულეს ფიცი, რომელიც თქვენ მიეცით გარდაცვლილ ბელადს.

ლენინის საქმემ გაიმარჯვა.

შექმნილია ახალი, სოციალისტური საზოგადოება.

ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი დროშით ჩვენ ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება მოვიპოვეთ.

ჩვენ გავიმარჯვეთ, ვიმარჯვებთ და მომავალშიც გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, პარტიასა და საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გზით მიუძღვებით.

თქვენ ლენინთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში აშენებდით და აწრთობდით მძლავრ ბოლშევიკურ პარტიას.

თქვენ პარტიასა და მუშათა კლასს 1917 წლის ოქტომბერში ლენინთან ერთად მიუძღოდით შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარი სამოქალაქო ომის წლებში თქვენ, ამხანაგო სტალინ, ლენინის ხელმძღვანელობით, წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა უშუალო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყავით.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ბოლშევიკების პარტიამ თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით გაანადგურა ლენინიზმის საზიზღარი მტრები და სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა.

ლენინის უკვდავი სახელი ცოცხლობს სოციალიზმის დიად გამარჯვებებში, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა თქვენი წინამძღოლობით.

ლენინი ცოცხლობს ბოლშევიკურ პარტიაში, რომელიც გამოწრთობილია ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ, კაპიტალისტური გარემოცვის მიერ ყველა დაქირავებული აგენტის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში.

ლენინი ცოცხლობს მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის, დევგმირი ხალხის, გამარჯვებული ხალხის გულში.

ლენინი უკვდავყოფილია გამარჯვებული სოციალიზმის დიადი სტალინური კონსტიტუციით.

ლენინის სახელით, სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, იმარჯვებენ სტახანოველები და დამკვრელები, გმირობის ხასწაულებს ახდენენ მამაცი წითელი არმიის მეომრები, ბუნებას იმორჩილებენ არქტიკის ბუმბერაზები, ახალ შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ლენინის იდეებმა გაიმარჯვეს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში, ისინი მთელ მსოფლიოს დაიპყრობენ.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ, დავეუფლებით რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, მედგრად ვიბრძოლებთ ახალი გამარჯვებებისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად, მთელს ჩვენს მუშაობაში მუდამ თვალწინ გვედგება ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი მასწავლებლის — ლენინის უკვდავი სახე.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

საუკუნეთა და ათასეულ წელთა განმავლობაში იცოცხლოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უკვდავმა სახემ!

გაუმარჯოს ლენინის საქმის დიდ განმგრძობს — ჩვენს ბელადს, ჩვენს მასწავლებელს, ამხანაგ სტალინს!

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავი

საზეიმო - სამგლოვიარო სხდომა დიდ თეატრში

დიდი თეატრის ფრონტონზე ალისფერი დროშებია გამოფენილი, კოლონებს შორის მკაფიოდ ელვარებს სიტყვა, რომელსაც მთელი მშრომელი კაცობრიობა იცნობს — **ლენინი.**

თეატრის დარბაზი ივსება დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებით — მუშებით, ინჟინრებით, მეცნიერებით, წითელი არმიის მებრძოლებითა და მეთაურებით, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკებით. სხდომას ესწრება ჩვენი ქვეყნის მრავალი წარჩინებული ადამიანი — საბჭოთა კავშირის გმირები, ორდენოსნები. ისინი შეიკრიბნენ, რათა პატივი სცენ რევოლუციის გენიოსის, ბოლშევიკური პარტიის დამაარსებლის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის — **ვ. ი. ლენინის** ხსოვნას.

დარბაზი საზეიმოდ გამოიყურება. აქ 1924 წლის სამგლოვიარო დღეებში გაისმა ამხანაგ სტალინის დიადი ფიცის სიტყვები. მას შემდეგ თექვსმეტმა წელმა განვლო. ფიცი შესრულებულია. ამ წლების განმავლობაში პარტიამ ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით, ბრძოლისა და გამარჯვებათა უდიდესი გზა განვლო.

...ფარდა აიხადა. წითელი ხავერდით მოფარდული სცენის სიღრმეში **ვ. ი. ლენინის** უზარმაზარი პორტრეტია. დუმილით იცვლება საპატიო ყარაული.

18 საათსა და 50 წუთზე გამოჩნდებიან ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ს. შჩერბაკოვი, მ. ფ. შკირიატოვი, გ. მ. დიმიტროვი, ს. მ. ბუდიონი, ა. ე. ბადაევი, ემ. იაროსლავსკი, ვ. პ. პრონინი** და სხვები. შეკრებილნი ფეხზე ადგომით მიესალმებიან საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს, ლენინის ანდერძის ერთგულ დამცველსა და მისი საქმის დიდ განმგრძობს — ამხანაგ **სტალინს.** მხურვალე საყოველთაო-სახალხო სიყვარულის ტალღა მიედინება ხალხთა დიდი ბელადისაკენ.

ხსნის რა სამგლოვიარო სხდომას, ამხ. კალინინი მოკლე შესავალ სიტყვას ამბობს. ის ლაპარაკობს ლენინიზმის უკვდავებაზე, დიად ყოვლისშემძლე მოძღვრებაზე, რომელიც ლენინმა დაუტოვა მშრომელებს და რომელიც ასე გენიალურად განავითარა და ანვითარებს ამხანაგი **სტალინი.**

ამხ. კალინინის წინადადებით დამსწრეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი **ვ. ი. ლენინის** ხსოვნას. გაისმის სამგლოვიარო მარშის მწუხარებით აღსავსე ხმები.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. **შჩერბაკოვს.**

○

სხდომის შემდეგ გაიმართა **ვ. ი. ლენინის** ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის ხელოვნების ცნობილმა ოსტატებმა. (საკდესი).

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

21 იანვრის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა. ყველა მიმართულებით მზვერავები მოქმედებდნენ, ალაგ-ალაგ არტილერიის სროლა იყო.

ჩვენი ავიაცია სადაზვერვო და საბრძოლო ფრენას აწარმოებდა.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. მ. ლ. სუხოვოლსკი და **მ. ს. კოზლოვი** დანიშნა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეებად (საკდესი).

„სისხლიანი კვირის" 35 წლისთავი

1905 წლის იანვრის სისხლიან დღეებში პეტერბურგის „მყუდროება" დაარღვიეს სახელოვანმა პუტილოველებმა. 3 იანვრის გაფიცვას, რომელიც დაიწყო პუტილოვის ქარხანაში, სწრაფად გამოეხმაურნენ პეტერბურგის მუშები. მუშათა მოძრაობა დღითი-დღე იზრდებოდა და მან მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო.

პეტერბურგის პროლეტარიატმა პირველმა აღიმაღლა ხმა ცარიზმის წინააღმდეგ. მუშები გაფიცვებამდე მიიყვანა ცარიზმის აუტანელმა რეჟიმმა, უსამართლობამ, დამცირებამ და გაჭირვებამ. მეფის მთავრობამ გადასწყვიტა დასაწყისშივე ჩაექრო მუშათა მოძრაობა. ამ მიზნის მისაღწევად მან გამოიყენა ყოვლად საზიზღარი ხერხები და პირველ ყოვლისა პროვოკატორი ხუცესი გაპონი, რომელმაც მოტყუებით წაიყვანა უიარაღო მუშები ზამთრის სასახლესთან — მეფისადმი წარსადგენი პეტიციით. პეტერბურგის 140 ათასამდე მუშამ ჯალათ მეფისაგან პასუხად მიიღო ტყვიები. ამ დღეს ნიკოლოზ მეორის ჯარებმა მოჰკლეს ათასზე მეტი მუშა, 2 ათასზე მეტი დასჭრეს. ასე მხეცურად გაუსწორდნენ ცარიზმის ქოფაკები უიარაღო მუშებს, მათს ცოლებს და შვილებს...

ბოლშევიკები თავიდანვე უმტკიცებდნენ მუშებს, რომ არ შეიძლება თავისუფლების მოპოვება პეტიციებით, რომ თავისუფლების მოპოვება შეიძლება იარაღით, თვითმპყრობელობის დამხობით. „...კი არ უნდა დავიმდაბლოთ თავი ჩვენი მოსისხლე მტრის წინაშე, არამედ ჩამოვაგდოთ იგი ტახტიდან და მასთან ერთად გავაძევოთ მთელი თვითმპყრობელი ხროვა" — ასე მოუწოდებდა მუშებს ბოლშევიკური პროკლამაცია ჯერ კიდევ 8 იანვარს. მაგრამ ზამთრის სასახლისაკენ მუშების მსვლელობის შეჩერება მაინც ვერ იქნა მიღწეული. გულუბრყვილო და ჩამორჩენილ მუშებს სწამდათ, რომ მეფე ლმობიერებას გამოიჩენდა, მოწყალებას გაიღებდა, დააკმაყოფილებდა მათ კანონიერ მოთხოვნილებებს...

„ბოლშევიკები მუშებთან ერთად მიდიოდნენ, ბევრი მათგანი მოკლულ ან დაპატიმრებულ იქნა. ბოლშევიკები იქვე, მუშების სისხლით მორწყულ ქუჩებში, განუმარტავდნენ მუშებს, თუ ვინ არის დამნაშავე ამ საშინელ ბოროტმოქმედებაში და როგორ უნდა მასთან ბრძოლა". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი").

ამ დღეს დახვრეტილ იქნა არა მარტო უიარაღო მუშები, არამედ მუშათა რწმენაც მეფისადმი.

9 იანვარი, რომელსაც „სისხლიანი კვირა" ეწოდა, წარმოადგენდა გარდატეხის მომენტს მუშათა მოძრაობის ისტორიაში, იგი მოასწავებდა რუსეთში რევოლუციური ქარიშხლის დასაწყისს. 9 იანვრის ამბები განსაცვიფრებელი სისწრაფით ვითარდებოდა. მან ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელს რუსეთში. საყოველთაო სახალხო აღშფოთება გიგანტურად იზრდებოდა. 10 იანვარს მარტო მოსკოვში გაიფიცა 10.000 მუშა, ხოლო 12 იანვარს გაფიცულთა რაოდენობა 70 ათას კაცს აღწევდა. საერთოდ კი იანვარში გაფიცულთა რაოდენობა 440 ათას კაცს აღწევდა. „პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ — სწერდა ვ. ი. ლენინი გაზ. „ვპერიოდის" ფურცლებზე, — ერთ დღეში ისეთი ნაბიჯი გადადგა წინ, როგორსაც ის უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებსა და წლებში ვერ გადადგამდა".

9 იანვრის ამბებმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. ამ პერიოდში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. იგი რაზმავდა ამიერ-კავკასიის მშრომელებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მოუწოდებდა მათ შეიარაღებული აჯანყების გზით ცარიზმის დამხობისაკენ. გაფიცვების ტალღა მძლავრად მოედო ამიერ-კავკასიის სამრეწველო ცენტრებს და სოფლებს. თბილისში 18 იანვარს მოეწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც გამოეხმაურნენ ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში, სამტრედიაში და სხვა ქალაქებში.

„მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ყოველი წარმატება პირველ რევოლუციაში (1905 — 1907 წ. წ.) ბოლშევიკებმა მოიპოვეს შეურიგებელ ბრძოლაში მენშევიზმის წინააღმდეგ და ყველა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიულ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და რევოლუციის ლენინური პროგრამითა და სტრატეგიით შეიარაღებულნი იყვნენ, დაუნდობლად ანადგურებდნენ ქართველ მენშევიკებს, ესერებს, დაშნაკებს, ანარქისტებსა და ფედერალისტებს, და ეს ბრძოლა გახდა რევოლუციაში ბოლშევიკების დიდ წარმატებათა გადამწყვეტ პირობად, ამიერ-კავკასიაში რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობისა და გაშლის გადამწყვეტ პირობად". (ლ. ბერია).

35 წელმა განვლო 1905 წლის იანვრის ამბების შემდეგ.

ამ პერიოდის განმავლობაში გამოცდილებით ბრძენი და ბრძოლებში უშიშარი ჩვენი პარტია, რევოლუციის უდიდესი ბელადების ლენინის და სტალინის ხელმძღვანელობით, აიარაღებდა მასებს ბოლშევიზმის ყოვლისშემძლე თეორიით და გმირული ბრძოლების მაგალითებზე ამზადებდა მათ 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი დროშით პროლეტარიატმა მშრომელი მასების მხარდაჭერით ბრწყინვალედ გაიმარჯვა 1917 წლის ოქტომბერში, რამაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — პროლეტარული რევოლუციების ერას.

სამგლოვიარო სხდომა რუსთაველის თეატრში ვ. ი. ლენინის ხსოვნის პატივსაცემად

რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრის შესანიშნავი დიდი დარბაზი აივსო მუშებით, ინჟინრებით, პროფესორებით, მასწავლებლებით, მეთაურებით, წითელარმიელებით, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკებით. ელექტრონით გაჩირაღდნებულ დარბაზს ამშვენებდა ალისფერ არშიაზე თეთრი წარწერა:

— გაუმარჯოს ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს — დიდ სტალინს!

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები მოვიდნენ აქ, ამ დარბაზში მოწვეულ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის კრებაზე, რომ სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად აღენიშნათ დიდი ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავი, პატივი ეცათ რევოლუციის დიდი გენიის — უკვდავი ილიჩის ხსოვნისათვის.

ახწიეს ფარდა. სცენაზე გამოჩნდა ორი დიდი ფიგურა — ლენინისა და სტალინისა. ლენინი გამოსახულია ყველასათვის ცნობილ პოზაში. მის თავთან დახრილია 11 გიგანტური დროშა.

ლენინის ფიგურის ცოტა მოშორებით აღმართულია სტალინის ფიგურა. ავანსცენის თავზე კი წითელი არშიაა წარწერით:

— გაუმარჯოს ლენინიზმს!

სცენაზე პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან — **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, ი. თავაძე, გ. სტურუა, ს. ხოშტარია, ს. იშხანოვი, ი. კოჩლამაზაშვილი, ი. ტიულენევი, ი. დორონინი, ე. ჩერქეზია, ა. კვაჭაძე, გრ. კიკნაძე, ა. მირცხულავა, თ. ბირკაძე, დ. ჭიჭინაძე, მ. კვარაცხელია, ნ. გელაძე, ვ. სალაძე, მ. ჩუბინიძე, ვ. გარსევანიძე, გ. გოჩაშვილი, ვ. სიხარულიძე, ნ. გალუსტოვი, პ. მჭედლიძე,** აკადემიკოსები — **ივ. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ნ. მუსხელიშვილი,** პროფ. **ნ. კეცხოველი,** პროფ. **კ. ზავრიევი,** საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები — **ა. ვასაძე** და **ა. ხორავა, დ. ყიფშიძე, ზ. ქურდიანი, ა. ჯორბენაძე** და სხვ.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან XVI წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო სხდომა გახსნა თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ი. კოჩლამაზაშვილმა,** რომელმაც მოკლე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა.

წინადადებისათვის სიტყვა აიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სიხარულიძემ. მისი წინადადებით სამგლოვიარო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ: **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია** და **შვერნიკი.**

თავმჯდომარემ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში ამხ. **ი. თავაძეს.**

მისი მოხსენების თემა იყო: XVI წელი ულენინოდ, ლენინური გზით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. თავის ვრცელსა და საინტერესო მოხსენებაში ამხ. ი. თავაძემ ილაპარაკა ყოვლისშემძლე მოძღვრებაზე — ლენინიზმზე, რომელიც დაუტოვა და უანდერძა მუშათა კლასს, მთელ მშრომელ კაცობრიობას დიდმა ლენინმა. მომხსენებელი ლაპარაკობდა ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილ უძლეველ ბოლშევიკურ პარტიაზე, რომელსაც ლენინის დიდი თანამებრძოლის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მიჰყავს მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

პროფ. ნ. კეცხოველმა შემოიტანა წინადადება დიდი სტალინისათვის მისალმების გაგზავნის შესახებ. ტაში და ხანგრძლივი ოვაციები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად იყო ნიშანი ერთსულოვანი თანხმობისა. პროფ. ნ. კეცხოველმა წაიკითხა მისალმების ტექსტი. ტაშის გრიალსა და ოვაციაში კვლავ გაისმა შეძახილები:

— სიცოცხლე და დღეგრძელობა დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს ჩვენს ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

— ხანგრძლივი სიცოცხლე ლენინის საქმის დიდ განმგრძობს — ამხანაგ სტალინს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის ახალი საბუთები

— ვ. ი. ლენინის ქვემოთ დაბეჭდილი საბუთებიდან პირველი საბუთი, რომელიც დაწერილია 1913 წლის მარტში, ჩვეულებრივი რვეულის ფორმატის 9-გვერდიან ხელნაწერს წარმოადგენს. ხელნაწერს სათაური არა აქვს. როგორც ჩანს, ეს არის პროექტი ბოლშევიკ - დეპუტატების სიტყვისა, რომელიც IV სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან უნდა წარმოთქმულიყო ნავთის იმ სინდიკატის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, რომელიც ფასებს უმატებდა ნავთს. ლენინის ეს ხელნაწერი განსაკუთრებით მკაფიო ფორმით ამხელს ნავთის კონკრეტულ საკითხზე მეფის ძველი რუსეთის ყოფილი მმართველი კლასების — კაპიტალისტთა და მემამულეთა მტაცებლურ პოლიტიკას. ამ საბუთს უშუალოდ უკავშირდება ლენინის წინათგამოქვეყნებული მასალები რუსეთში არსებული ნავთის სინდიკატის შესახებ, ამერიკაში ნავთის წარმოებისა და ფასების შესახებ. (იხ. „ლენინის კრებული" ტ. XXIX, გვ. 446 447).

მეორე საბუთი მიძღვნილია რუსული ენის ლექსიკონის შექმნის საკითხისადმი, რასაც დიდი პოლიტიკური და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხს ვლადიმერ ილიას-ძე არაერთხელ დაუბრუნდა 1920-21 წლებში, იგი მოითხოვდა სახალხო განათლების კომისარიატის მუშაკებისაგან დაეჩქარებინათ მუშაობა რუსული ენის ლექსიკონის შესაქმნელად. (პუშკინიდან გორკამდე), რომელიც სანიმუშო და თანამედროვე უნდა ყოფილიყო თავისი ახალი მართლწერით (იხ. მიმოწერა, რომელიც გამოქვეყნებულია „ლენინის კრებულების" XX და XXIII ტომში). საბუთი დაწერილია მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ბლანკზე.

მესამე საბუთი „1 ლი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის ყველა მუშასა და საქარხნო კომიტეტისადმი" — დაწერილია ლენინის მიერ ქარხნის საქარხნო კომიტეტის იმ წერილის საპასუხოდ, რომლითაც მუშები ძრავების პირველ გამოშვებას ულოცავდნენ ვლადიმერ ილიას-ძეს და ამასთან დაკავშირებით იწვევდნენ — მონაწილეობა მიეღო 1921 წლის 7 აპრილის დღის 1 საათისათვის დანიშნულ საქარხნო დღესასწაულში. ზრუნავდა რა იმისათვის, რომ მუშებს თავის დროზე მიეღოთ მისი მისალმება, ვლადიმერ ილიას-ძემ ტელეფონოგრამას თავზე წააწერა და რამდენჯერმე ხაზი გაუსვა: „გადაეცით 12 საათზე". ლენინის მისალმება წაკითხულ იქნა ქარხნის მიტინგზე 1921 წლის 7 აპრილს.

საკ. კ. პ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტი.

ნავთის „შიმშილობის საკითხი"

ნავთის „შიმშილობის", ნავთის უზომო გაძვირების საკითხმა, ნავთის მრეწველი ბობოლების იმ დანაშაულებრივი გაფცქვის საკითხმა, რომელიც მათ მომხმარებელთა გაძარცვის მიზნით მოაწყვს, სავსებით კანონიერი ინტერესი და სავსებით გასაგები აღშფოთება გამოიწვია სათათბიროში, უფრო მეტად კი, სათათბიროს გარეთ.

დუელი ბატონი ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრისა, რომელიც ოდნავ დაფარულად იცავდა ნავთის მესინდიკატეებს — ნავთის მეფეებს, და ბ-ნ მარკოვ მე-2-ისა, რომელიც ალტყინებითა და მგზნებარედ გამოსთქვამდა კეთილშობილ მებატონე-მემამულეთა შეურაცხყოფის გრძნობას, ეს დუელი (სახელმწიფო სათათბიროს 22 მარტის სხდომაზე) მეტად დიდი ყურადღების ღირსია მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიის მხრივ. ეს დუელი დიდ ნათელს ჰფენს რუსეთის ორი „მმართველი" კლასის, ორი ეგრეთწოდებული „უმაღლესი" (ნამდვილად კი მეტად მდაბალი, ქვენამძარცველური) კლასის, მებატონე-მემამულეთა კლასისა და ფინანსური ბობოლების კლასის მთელ ურთიერთობას.

ნავთის სინდიკატის საკითხი პირველი შეხედვით კერძო საკითხად გვეჩვენება. მაგრამ ეგ ასე არ არის. სინამდვილეში ეს ორი გაბატონებული კლასის მიერ რუსეთის მართვის (ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ. რუსეთის ძარცვის) საერთო და ძირითადი საკითხის ერთერთი გამოხატულებაა. მარკოვ მე-2 სიტყვა საუცხოო პასუხია ნავთის—„მეფეთა" დამცველისადმი იმ ზუბრის თვალსაზრისით, რომელსაც ნადავლის გაყოფის დროს აწყენინეს. გასაკვირველი არ არის, რომ ბ-ნმა მარკოვ მე-2 ამასთანავე ვერ შესძლო „თავის თავს დაჰკვირვებოდა", ვერ შესძლო სარკეში ჩაეხედა და დაენახა თავისი თავი (და თავისი მეგობრები — მემამულეები), ვეცდები სამსახური გავუწიო ბ. მარკოვ მე-2; სარკეს დავუდგამ. დავუხატავ თავის პორტრეტს. დავანახვებ, რომ მარკოვ მე-2 და ხვოსტოვის „ჩხუბი" ნავთის მეფეებთან. ნავთის სინდიკატის ბობოლებთან, ბაქოელ მილიონერებთან **შინაური** ჩხუბია, ხალხის დოვლათის **ორი** დამტაცებლის ჩხუბია. „ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი ეგონათო". ბ-ნი მინისტრი და ბ-ნი ნობელი კომპანიითურთ, ერთის მხრივ, და ბ-ნი ხვოსტოვები და მარკოვები მათი მეგობრებითურთ სენატში, სახელმწიფო საბჭოში და სხვაგან — „ცოლ-ქმარია". მაგრამ ამ ტკბილი კამპანიისაგან შავი დღე ადგება რუსეთის მილიონობით მუშასა და გაღატაკებულ გლეხობას!

რაში მდგომარეობს ნავთის საკითხის დედაარსი?

უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ ბ-ნი მენავთეები ურცხვად ადიდებენ ნავთის ფასს და ამავე დროს კაპიტალისტური გამორჩომის ეს „რაინდები" ხელოვნურად აბრკოლებენ ჭაბურღილებისა და ქარხნების ნაყოფიერებას.

აქ მუხლების შესახებ ძირითადი ცნობები უკვე აღნიშნული იყო სათათბიროში, მაგრამ ეს ცნობები მაინც უნდა გავიმეორო მოკლედ. რათა სავსებით ნათელი იყოს ჩემი შემდგომი ლაპარაკი. 1902 წელს ფუთი ნავთის ფასი 6 კაპიკი იყო. 1904 წელს მან 14 კაპიკამდე აიწია. შემდეგ ფასმა უფრო „მარდად" იწყო „ხტომა", ისე რომ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ფუთი ნავთის ფასმა 1908-09 წლებში 21 კაპიკამდე აიწია, ხოლო 1912 წელს — 38 კაპიკამდე.

ამგვარად, 10 წლის განმავლობაში ფასმა **ერთიექვსად და მეტადაც** იმატა! ნავთის მოპოვება კი, რომელიც 1900-1902 წლებში 600-700 მილიონ ფუთს უდრიდა, ამ ხნის განმავლობაში 1908-1912 წელს 500-585 მილიონ ფუთამდე **შემცირდა.**

ამ ციფრების დახსომება ღირს. ამ ციფრებს უნდა ჩავუკვირდეთ. ათი წლის განმავლობაში, როდესაც მთელ მსოფლიოში წარმოება უდიდესი ნახტომებით იწევდა მაღლა, ნავთის მოპოვება რუსეთში შემცირდა, ხოლო ფასი **ერთიექვსად და მეტადაც გადიდდა.**

ბ-ნი ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, იცავდა რა შეხმატკბილებულ ვაჭრებსა და მრეწველებს, პირდაპირ დაუჯერებელ უმწეო მოსაზრებებს აყენებდა.

მატულობს სათბობის მოთხოვნილება, — ამბობდა იგი, — მატულობს ნავთის მოთხოვნილება საავტომობილო და საავიაციო მრეწველობაში, ეს „მსოფლიო" მოვლენა არისო, — გვანუგეშებდა ბ-ნი მინისტრი ჩვენ და რუს ხალხს.

ამერიკაში როგორღაა? ვკითხავთ ჩვენ. ასეთი კითხვა თავისთავად იბადება, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ამერიკა ნავთის წარმოების მხრივ რუსეთის ერთადერთი სერიოზული მეტოქეა. 1900 წელს რუსეთი და ამერიკა ერთად იძლეოდნენ ნავთის მსოფლიო მოპოვების 9/10-ზე მეტს, ხოლო 1910 წელს — 8/10-ზე მეტს.

თუ ლაპარაკი „მსოფლიო" მოვლენას ეხება, ბ-ნო მინისტრო, მაშასადამე, **ასეთივე** მდგომარეობა უნდა იყოს ამერიკაშიც? და აი, უგულისყურო მსმენელებზე რომ **შთაბეჭდილება** მოეხდინა, ბ-ნმა მინისტრმა, რომელიც შეხმატკბილებულ ნავთის მძარცველებს იცავდა, ციფრები მოიყვანა ამერიკის შესახებ... **მაგრამ ციფრები მხოლოდ 2 წელიწადს შეეხებოდა!** ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნავთის ფასმა ამერიკაში ერთიორად აიწია, ისევე რუმინეთშიც.

ძალიან კარგი, ბ-ნო მინისტრო! მაგრამ რატომ ბოლომდე არ გავატაროთ შედარება? თუ შედარებაა, შედარება იყოს. არ შეიძლება ციფრობანას თამაში. ცნობები ამერიკის შესახებ **იმავე დროისა** უნდა ავიღოთ რა დროის ციფრებიც იყო მოყვანილი რუსეთის შესახებ. ნუ თუ აშკარა არ არის, რომ ეს სტატისტიკის ყოველი კეთილსინდისიერი გამოყენების ყველაზე მთავარი, ყველაზე ელემენტარული, ყველაზე ანბანური პირობაა?!

რუსეთში **10 წლის** განმავლობაში ფასმა **ერთიექვსად** და კიდევ მეტად აიწია 1902 წლის იმ ყველაზე დაბალ ფასთან შედარებით, რომელიც თვით ბ-ნმა მინისტრმა მოიყვანა. ახლა ამერიკაში? აქ არაფერი არა ყოფილა ფასების **ასეთი** გადიდების მსგავსი. 1900-დან 1910 წლამდე ამერიკაში ფასმა **დაიწია.** ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ფასი უცვლელი იყო.

მაშასადამე, როგორია შედეგი? ფასის გადიდება ამერიკაში ერთიორად და რუსეთში **ერთიექვსად.** ნავთის მოპოვება კი ამერიკაში 1900 წელს **ნაკლები** იყო, ვიდრე რუსეთში, ხოლო 1910 წელს **ერთისამად მეტი იყო,** ვიდრე რუსეთში!

ბ-ნმა მინისტრმა, რომელიც ვერც თუ ისე თამამად იცავდა მილიონერ მენავთეთა გაფცქვას, არ მოისურვა ამის თქმა. ფაქტი კი ხელთა გვაქვს. რა ციფრებიც უნდა ავიღოთ, უეჭველი რჩება, რომ ამერიკაში გაძვირება ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში **გაცილებით უფრო ნაკლებია,** ვიდრე რუსეთში, ნავთის მოპოვება კი **გიგანტურად** გაიზარდა, მაშინ როდესაც რუსეთში სამარცხვინოდ შენელდა და უკანაც წავიდა კიდევაც.

ახლა ჩვენ აშკარად ვხედავთ, თუ რა ცოტა სიმართლე და რა ბევრი ტყუილია იმაში, რომ ჩვენი მინისტრი გვარწმუნებს — გაძვირება „მსოფლიო" მოვლენააო. დიახ, გაძვირება ყველგან ხდება. დიახ, არის ამ გაძვირების გამომწვევი საერთო-კაპიტალისტური მიზეზები.

მაგრამ რუსეთში მდგომარეობა სწორედ იმიტომ არის **აუტანელი,** რომ ჩვენში გაძვირება გაცილებით უფრო ძლიერია სწორედ ნავთისათვის, ხოლო ნაყოფიერების ზრდის ნაცვლად შენელება გვაქვს. რუსეთში მდგომარეობა **აბსოლუტურად აუტანელია** სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალიზმის ფართო, თავისუფალი, სწრაფი განვითარების ნაცვლად შენელებასა და ლპობას ვხედავთ. ამიტომ იგივე სიძვირე ჩვენში ერთიასად უფრო ავთვისებიანია.

რუსეთში 170 მილიონი მოსახლეობაა, ამერიკაში კი 90 მილიონი, ე. ი. ნახევარზე ცოტა მეტი. ხოლო ნავთს ამერიკაში ახლა **ერთისამად** მეტს იღებენ, ვიდრე ჩვენში, ქვანახშირს კი **თვრამეტჯერ** მეტს. ცხოვრების დონე ამერიკაში, მუშების ხელფასის მიხედვით, **ერთიოთხად** მაღალია, ვიდრე რუსეთში.

განა ცხადი არ არის, თუ რა მტკნარ სიცრუეს შეიცავს ბ-ნი მინისტრის სიტყვები, რომ ეს ბოროტება მსოფლიო მოვლენააო? ბოროტება თუ ათჯერ უფრო მძიმე არა. ოთხჯერ უფრო მძიმეა რუსეთისათვის.

50 მილიონი მანეთი შავი ზღვის რკინიგზისათვის

(მოსკოვი. ტელეგრაფით „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

წელს შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობისათვის გადადებულია 50 მილიონი მანეთი. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია წელსვე დამთავრდეს ძირითადი ნაგებობანი ადლერ-გაგრის უბანზე და დაიგოს ლიანდაგი ადლერიდან კილენკოვომდე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეწყერთან ბრძოლას. მშენებლობისთვის იგზავნება ახალი მექანიზმები და მანქანები. მომავალი წლისათვის უნდა გაიხსნას **დროებითი მიმოსვლა გაგრამდე.**

ამხ. ლუნაჩარსკი

ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ამას წინათ პირველად გავეცანი დალის ცნობილ ლექსიკონს.

მშვენიერი რამ არის, მაგრამ ეს ხომ ოლქური ლექსიკონია და მოძველებულიც არის. განა დრო არ არის შევქმნათ ნამდვილი რუსული ენის ლექსიკონი, ვთქვათ, იმ სიტყვების ლექსიკონი, რომლებსაც ახლა კლასიკოსებიც ხმარობენ, დაწყებული პუშკინით და გათავებული გორკით.

რა იქნება, რომ ამ საქმეზე დავსვათ 30 მეცნიერი და წითელარმიელის ულუფა მივცეთ მათ?

რას იტყოდით ამ აზრის შესახებ?

კლასიკური რუსული ენის ლექსიკონი?

ნუ გაახმიანებთ კი და, თუ საძნელო არ იყოს, მოულაპარაკით ჰკოდნიებს და მაცნობეთ თქვენი აზრი.

თქვენი ლენინი.

18.1.20.

ტელეფონოგრამა

1-ლი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის საქარხნო კომიტეტისა და ყველა მუშისადმი

დიდად პატივცემულო ამხანაგებო! მე მივიღე თქვენი საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის, ამხ. სმირნოვისაგან ცნობა ძრავების გამოშვების შესახებ და მოწვევა დღესასწაულზე 7.IV-ს.

გილოცავთ ამხანაგებო, წარმატებით მუშაობას და საავტომობილო მექანიკოსთა კურსების წლისთავს. მთელი სულით და გულით გისურვებთ მხნედ მუშაობას, რაც, უეჭველია შემდგომ წარმატებას მოგვიტანს. განსაკუთრებით დიდია თქვენი წარმატების მნიშვნელობა მუშებისა და გლეხების მთელი მასების თვალსაზრისით, რადგან ძრავების წარმოების განვითარება, რუსეთში ნავთის სიღნხვის პირობებში, იმედს გვაძლევს, რომ არის შესაძლებლობა მოვაწყოთ გლეხური მეურნეობის მომარაგება იაფი და პრაქტიკული ძრავებით.

რადაც უნდა დაგვიჯდეს, უფრო-დაუფრო მეტ წარმატებებს უნდა მივაღწიოთ ძრავების დამზადების საქმეში.

საუკეთესო სურვილები და კომუნისტური სალამი

ლენინი.

1921 წლის 7 აპრილი.

„პრავდა", 21/1-40.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დღის შესახებ.

1. დაინიშნოს უკრაინის სსრ ვოლინის, დროგობიჩის, ლვოვის, როვნოს. სტანისლავოვისა და ტარნოპოლის ოლქებიდან და ბელორუსიის სსრ ბარანოვიჩის. ბელოსტოკის, ბრესტის. ვილეიკისა და პინსკის ოლქებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები 1940 წლის 24 მარტს.

2. გამოცხადდეს ამ ოლქებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კამპანიის დასაწყისად 1940 წლის 24 იანვარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 20 იანვარი.

უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთ ოლქებიდან კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 20 იანვრის ბრძანებულებით შექმნილია უკრაინის სსრ დასავლეთ ოლქებიდან კავშირის საბჭოს არჩევნების 27 საარჩევნო ოლქი და ბელორუსიის სსრ დასავლეთ ოლქებიდან კავშირის საბჭოს არჩევნების 16 საარჩევნო ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 20 იანვრის ბრძანებულებით შექმნილია უკრაინის სსრ დასავლეთ ოლქებიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 6 საარჩევნო ოლქი და ბელორუსიის სსრ დასავლეთ ოლქებიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 6 საარჩევნო ოლქი. (საკდესი).

უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები უკრაინის დასავლეთ ოლქებში

კიევი, 21 იანვარი (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1940 წლის 24 მარტისათვის დანიშნულია უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ვოლინის, დროგობიჩის, ლვოვის, როვნოს, სტანისლავოვისა და ტარნოპოლის ოლქებში. არჩევნები მოხდება უკრაინის სს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესაბამისად.

უკრაინის დასავლეთ ოლქებში იქმნება უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების 80 საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო კამპანია დაიწყება 1940 წლის 24 იანვრიდან.

ფინეთის პირველი სახალხო კორპუსის მებრძოლთა მისალმება ყინულმჭრელ „სედოვის" ეკიპაჟისადმი

ტერიოკი, 20 იანვარი (საკდესი). ყინულმჭრელ „სედოვის" გმირული დრეიფის დამთავრების ამბავმა სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გამოიწვია ფინეთის პირველი სახალხო კორპუსის ნაწილებში. საბჭოთა ხალხის მამაცი შვილების გამარჯვებით აღფრთოვანებულმა მებრძოლებმა ყინულმჭრელ „სედოვის" ეკიპაჟს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიაც ისინი სწერენ: „ფინეთის სახალხო არმიის 1-ლი კორპუსის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით მებრძოლთა ძმურ სალამს გიძღვნით სედოველებს, დიადი საბჭოთა კავშირის გმირ შვილებს, არქტიკის გაბედულ და მამაც დამპყრობლებს! თქვენი კეთილშობილი მაგალითი ჩვენ — ფინელი ხალხის შვილებს — ახალ ძალას გვმატებს იმისათვის, რომ საბოლოოდ და რაც შეიძლება მალე გავანადგუროთ გამხეცებული მანერჰაიმული ბანდები და თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოვუპოვოთ ფინეთის მშრომელ ხალხს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ფინელი ხალხის ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის მამაც გმირებს — სედოველებს!

ა. ანტილა, ფ. აალტო,
მ. რაიკასი, ვ. ტერვონენი".

ვ. ი. ლენინის მეორე სახლი-მუზეუმის გახსნა სოფ. შუშენსკოეში

კრასნოიარსკი, 20 იანვარი (საკდესი). ხვალ სოფელ შუშენსკოეში გაიხსნება ვ. ი. ლენინის მეორე სახლი - მუზეუმი; იგი ეწყობა ზირიანოვის სახლში, სადაც გადასახლების დროს ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას-ძე. ოთახი, რომელიც ვ. ი. ლენინს ეკავა, აღდგენილია წინანდელი სახით. აქ არის ავეჯი, რომლითაც ილიჩი სარგებლობდა,— ხის საწოლი, ოთხი უბრალო ხის სკამი. მაგიდაზე ჩერნიშევსკის პორტრეტია, კედელზე — ბარომეტრი. დანარჩენ სამ ოთახში მოთავსებულია მასალა, რომელიც ასახავს კაცობრიობის დიდი გენიოსის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

„ძ ვ ე ლ ი ტ ა შ კ ე ნ ტ ი"*

[illegible]

შენობა ცარიელი იყო და ინგრიოდა.

1904 წლის მაისში „ძველ ტაშკენტში" ახალი პატრონები მოვიდნენ. მათ ჩამოგლიჯეს ფიცრები, გააღეს კარი და ფანჯრები, საგუბარში წყალი კირისაგან გათეთრდა. აკაკუნდა ნაჯახები და ჩაქუჩები, გაისმა ხმამაღლა ლაპარაკი. ზასტავაში ხმები დადიოდა, სახლი ფხიზლობის საზოგადოებას მიაქვსო. ამბობდნენ, ქიმიკურ შესახვევში, წითურ, დაბალტანიან ხარატ ისლაუხთან ოცდახუთ კაპიკად ყველა მსურველს სწერენო. პოლიციამ ეს იცის და წინააღმდეგობას არ უწევს: უფროსებმა ყველაფერი მოიწონეს, საზოგადოებას კი ხუცესი მეთაურობსო.

შეკეთებულ, მწვანით მორთულ სახლთან 30 მაისს შუადღიდან დიდი ხმაურობა იყო. მოსულნი ბალახზე ისხდნენ და იწვნენ, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ხეების ქვეშ, გაცხოველებით საუბრობდნენ, ფანჯრებში იცქირებოდნენ. ამბობდნენ, „ძველ ტაშკენტში", დიდ დარბაზში ორკესტრი დაუკრავს და ცეკვა იქნებაო. ხარატი სოროკოუმოვი, სიმღერის დიდი მოყვარული, იქვე ბაღში, არჩევდა ხმებს მომავალი გუნდისათვის. ერთ ახალგაზრდას პიჯაკი გვერდზე მოეგდო და დიდი ამბით კითხულობდა ასოების ამოთვლით დასასწავლად მიღებულ სიმღერას:

Свободы час! Свободы час!
Свободы час придет для нас!

აივანზე გამოჩნდა ახალი მექანიკური სამქროს ლოყაწითელი, შავულაშა მუშა. ჩექმები უბრჭყვიალებდა, გულისჯიბიდან წითელი ცხვირსახოცის წვერი მოუჩანდა. მან ხმამაღლა გამოაცხადა:

— ვისაც ბილეთები აქვს მობრძანდით. დაიცავით სიმშვიდე და წესრიგი!

პირველად დაიძრნენ ხნიერი და დინჯი მუშები. ისინი ფრთხილად მიდიოდნენ, თითქოს ეჭვი ეპარებოდათ იმაში, რომ აშკარად შეკრების ნებართვა მიიღეს. გაწვდილი ხელით მიჰქონდათ ოფიციალურად ნებადართული „რუს საფაბრიკო-საქარხნო მუშათა კრების" ბილეთები. შესასვლელთან ორი გოროდოვოი იდგა. ჯოხზე დაყრდნობილი მიდიოდა დიმიტრი ბელოუსოვი, სავაგონო სამქროს ხარატს ცოლი ხელიხელჩაკიდებული მიჰყავდა, ვაჟი და ქალი წინ მიდიოდნენ. ცოტა ხნის წინათ საამქროში გაფიცვის დროს უფროსმა მასზე მიიშვირა თითი და სთქვა, სწორედ ასეთ ვიწროწვერიანებში იმალება კრამოლაო. მაშინ ბელოუსოვმა იწყინა. ახლა კი ზეიმობდა: აკრძალული ნებადართულად ეჩვენებოდა. მომჭირნე თვალით ათვალიერებდა შენობას, ანგარიშობდა, რა დაჯდა რემონტი, ეშმაკურად იღიმებოდა. კიბეზე გრძელი ნაბიჯებით ამოდიოდა მაღალ მაღალი, გამხდარი ვასილ ლემეშევი, თავზე ეხურა ახლად გაწმენდილი ქუდი. ის ეკატერინოგოფის ძაფსართავ მანუფაქტურაში მუშაობდა, დიდი ოჯახი ჰყავდა. „კრებამ" იმით მიიზიდა, რომ დაჰპირდა უმუშევრობის მუდმივი საფრთხისაგან ხსნას. პატარა, ხმელ-ხმელი მირონენკო ჩქარობდა საუკეთესო ადგილის დაკავებას. ძველებური პიჯაკის ჯიბეში ურთიერთდამხმარე სალაროს წიგნაკი ედო. თვითეული გამომუშავებული მანეთიდან შაურის შეტანას რომ დასთანხმდა, მირონენკო დარწმუნებული იყო, რომ უპატრონოდ აღარ მოკვდებოდა.

პუტილოველები, ტრეუგოლნიკელები, ტენტელეველები, ეკატერინოგოფის მანუფაქტურის და სხვა ფაბრიკების ფეიქრები მიდიოდნენ „ძველ ტაშკენტში" „რუს საფაბრიკო-საქარხნო მუშათა კრების" ნარვის განყოფილების გახსნაზე. ისლაუხი ამ ამბის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით გაგულზვიადებული, მაგიდასთან იჯდა და ახალ წევრებს სწერდა. განყოფილების გახსნისათვის ოთხასი კაცი ჰყავდა, რომელიმე ნაცნობს რომ დაინახავდა, სახელოში სტაცებდა ხელს და შენობის დასათვალიერებლად მიათრევდა. ტრაბახობდა სამკითხველოთი, საჩაიეთი, ჯამგეობის ცალკე ოთახით. იდუმალი ხმით ჩურჩულებდა:

— მთელი სახლი ასორმოცდაათ მანეთად დავიქირავეთ. შინ გაქანება ნახე! ტანისამოსის დასაკიდი სამასი კაცისთვისაა!

მერე უცებ გაიქცეოდა, პაპიროსის ნამწვს ან ქაღალდს აიღებდა და თავის მაგიდასთან გარბოდა.

დარბაზში ყველას არ ეყო ადგილები. დაგვიანებულნი ფანჯრებთან იდგნენ. სახლთან ხალხი მატულობდა—ზასტავა მიჩვეული არ იყო ასეთ ამბებს. საუბრობდნენ „კრების", მისი მიზნებისა და წინამძღოლების შესახებ, ყველამ იცოდა, რომ „კრებას" ხელმძღვანელობს მღვდელი გიორგი გაპონი. ბევრს ის სულ ცოტა ხნის წინათ ენახა. ნიკოლოზობას რამდენიმე სახელოსნოში პარაკლისი გადაიხადა და იქვე სამქროში ესაუბრა მუშებს ქრისტიანული სიყვარულის. მოყვასისადმი დახმარების და შეხმატკბილებულ ოჯახად გაერთიანების საჭიროებას შესახებ. საუბრებს წარმატება ჰქონდა, თუმცა ბევრს უკვირდა: „რა ესაქმება ხუცესს მუშებთანო?".

— ამ ხუცესს მხოლოდ ანაფორა აქვს ხუცური. სხვა კი არაფერი,—ამშვიდებდნენ მუშებს ისინი, ვისაც გაპონი ენახა და მისი სჯეროდა.—ჩვენთან წეკოს ეწევა. ცხოვრებაზე გვეკითხება, სხვა ხუცესს ლანძღავს.

— ეს განსაკუთრებული მღვდელია, — ადასტურებდნენ ქალები,—მისი შემოხედვა სულში ჩაგწვდება.

გაპონის მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. ის უეცრად გამოჩნდა ეზოში. ასტყდა ჩურჩული, ყველამ წინ წაიწია, ყველას უნდოდა დაენახა განსაკუთრებული მღვდელი. ტანმორჩილი, მოქნილი, თეთრი საზაფხულო ანაფორით, ის სწრაფად მიდიოდა სახლისკენ და ათვალიერებდა ხალხს შავი მოელვარე თვალებით. იგრძნობოდა, რომ მიჩვეული იყო საყოველთაო ყურადღებას და რომ ეს ყურადღება აღაგზნებდა მას. აივანზე გაპონს შეხვდნენ „პასუხისმგებელ პირთა წრის" — ნარვის განყოფილების შტაბის წევრები. ისლაუხი გაიქცა, რომ ხალხი მიეწმოეწია.

საზეიმო დუმილში დაიწყო გაპონმა თავისი სიტყვა. მღვდლისგან არაჩვეულებრივი იყო სიტყვები მუშების მძიმე ცხოვრების შესახებ. სევდით ლაპარაკობდა. იგი ორ ღვიძლ დაზე—სიღარიბესა და უმეცრებაზე, მწუხარებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ბევრი ღვინოს სვამენ, როგორც მწყემსი კეთილი, სწუხდა მშრომელთა და ჩაგრულთა ავბედობას. მსმენელნი შეძრწუნებული იყვნენ იმ უნუგეშო სურათით, რომელიც მან დახატა. გაპონმა მკვეთრად შეაბრუნა სიტყვა:

— არსებობს ბნელიდან ნათლისაკენ მიმავალი გზა... ეს გზა მუშების გაერთიანებაა, ცოდნის შეძენა, ძმური ურთიერთდახმარების მოწყობა.

— მე თვითონ ღარიბი პოლტაველი გლეხის შვილი ვარ,—დაამთავრა გაპონმა.—მე კარგად ვიცი მშრომელი ხალხის საჭიროება და მიყვარს მშრომელი ხალხი.

ხალხი სულგანაბული უსმენდა. ჭალალფარდოვანი სიტყვები რაღაც ნათელისა და სასიხარულოსაკენ მოუწოდებდა. კრება მოხიბლული დარჩა.

გაპონის სიტყვის დასრულებისათვის განყოფილებაში მოვიდა გრადონაჩალნიკი ფულონი. მას პოლიციელთა ამალა ახლდა. ზასტავის ბოქაული გამოეჭიმა. მუშები ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ გრადონაჩალნიკს; ზოგიერთი ნასიამოვნები იყო ასეთი დიდი კაცის სტუმრობით. ფულონმა ხელი ჩამოართვა გაპონს და მის დაახლოვებულთ, ოდნავ დაუკრა თავი ყველა დამსწრეთ და სთხოვა „განაგრძოთ პროგრამა". დაიწყო პარაკლისი. მთავარდიაკონმა მრავალჟამიერ უსურვა ხელმწიფე-იმპერატორს და ქრისტესმოყვარე მხედრობას. შემდეგ ფულონს სთხოვეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა. ძველი მსახური, ჟანდარმთა გენერალი ფულონი ორატორი არ იყო. მან ჩაახველა და დიდი პაუზებით წარმოსთქვა მოკლე. დამარიგებელი სიტყვა, რომელშიაც მოუწოდებდა მუშებს ხელისუფლებასთან ერთიანობისაკენ „შორეულ და ვერაგ მტერთან ომის გამო". დასასრულ გამოვიდნენ მსახიობები. ერთმა მომღერალმა ქალმა იმღერა „განშორება", მეორემ—„კატორღელის ცოლი", მსახიობმა ივანოვმა შეასრულა „ქრისტე აღსდგა". ფულონი კმაყოფილი დარჩა. მან კიდევ რამდენიმე სიტყვით შეაქო „კრება" და ერთიანობის ნიშნად განყოფილებას ასი მანეთი აჩუქა.

---

*) როგორც ცნობილია პროვოკატორი ხუცესი გაპონი ჯერ კიდევ 1904 წელს შეუდგა პეტერბურგში „რუს საფაბრიკო-საქარხნო მუშათა კრების" განყოფილებათა მოწყობას. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ჩამოეშორებინა მუშები პოლიტიკურ ბრძოლისაგან.

ამ ნაწყვეტში, რომელიც ამოღებულია წიგნიდან „პუტილოვის ქარხნის ისტორია", ნაჩვენებია, თუ როგორ დაიწყო მუშაობა გაიძვერა გაპონმა და როგორ კოლუპუებით იზიდავდა იგი გულუბრყვილო მუშებს. რედ.



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი
ამუშავებენ დენიკინის არმიის განადგურების გეგმას.
პ. სტარონოსოვის გრავიურა ხეზე.

ლ ე ნ ი ნ ს!

მოსკოვს მოსავდა იანვრის თოვლი,
თეთრი ფანტელი ბრუნავდა გარეთ,
როცა მუსიკის ქვითინით, თრთოლვით
წუთით დროშები დაბლა დავხარეთ.

ქროდა შორიდან მოსული ქარი,
მწუხრით ზუზუნდა კრემლის კედელთან;
შენი სიკვდილით ოხრავდა მტკვარი,
ზღვის მიმოქცევაც უცებ შენელდა.

ცრემლით გაგიობეთ კუბოს ფიცარი,
შიგ ჩაგატანეთ გულის ნაწილი.
დაგრჩა მემკვიდრედ ძმად-ნაფიცარი
ფოლადაურის გვარის არწივი.

მისი ფიქრი და მზრუნველი ხელი
მთელს დედამიწას გადასწვდენია.
ღელავს, ბობოქრობს სამყარო ძველი,
მზისკენ მიგვიძღვის ხალხის გენია.

შენ გაგვითენე სიამის დილა,
შენ გაგვიტკბილე სიცოცხლის დღენი.
ადამიანის გულში რომ თბილა,
გიმღერის, გადიდებს სამშობლო ჩვენი.

გზის მანათობლად ქვეყნად შენა ხარ
და შენთან ერთად — დიდი სტალინი,
ნეტავ კრემლიდან თვალით გენახა
ვოლგა მოსკოვში შემოყვანილი.

მხნელად გიყურებს ყველა ჩაგრული,
იმედად ჰყავხარ ბეისგან დევნილთ;
ნორჩიც ღიმილით აკვანს ჩაკრული
შენს სახელს სწავლობს პირველად, ლენინ!

ვარლამ ჟურული

მე ვნახე ლენინი

ზღვასავით ღელავს დღეს ჩემი გული,
დღეს მე პირველად ვნახე ლენინი
დიდიხანია ჩვენგან წასული
და ჩვენს რიგებში კვლავ დარჩენილი.

უდიდეს ზელადს ვხედავდი მძინარს
და ჟრუანტელი მივლიდა ტანში,
აღარ ვიცოდი, ცრემლით მეტირა
თუ გლოვა მეგრძნო მდუმარებაში.

ვხედავდი: ნათელ კუბოში იწვა
და ვიწრო იყო მისი სავანე
ის მდუმარებდა, ვით დედამიწა,
მაგრამ ღელავდა, ვით ოკეანე.

სიკვდილის ნისლით არ იფარება
ვინაც შობილა ძლევის ვულკანად,
ვინაც წაართვა მზეს ელვარება
და დედამიწას ჩამოუტანა.

მას ხომ არასდროს იპყრობდა სევდა,
მუდამ ბრძოლებზე იყო ჩვეული,
და ამდენ გრიგალს როგორ იტევდა
ასე უბრალო კაცის სხეული?

რა მოჰკლავს, ვინაც გრიგალებს მოჰყვა,
ვინც საუკუნის ბჭე გაარღვია,
და თუ ლენინში სხეული მოკვდა,
ისიც ხომ ხალხის გულში შარხია.

ის დღესაც ცოცხლობს, სიკვდილის წყვდიადს
მისი ჯანლოხე ვერ დაუცლია,
დღევანდელ ლენინს სტალინი ჰქვია —
ის მიუძღვება რევოლუციას!

ანდრო თევზაძე

„სისხლიანი კვირის" მსხვერპლთა სამარესთან

ლენინგრადი, 21 იანვარი (საკდესი). ყოფილ პრეობრაჟენსკის სასაფლაოზე, ამჟამად „9 იანვრის მსხვერპლთა" სასაფლაოზე, ძმათა სამარეებში დამარხული არიან 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში მუშათა მშვიდობიანი პროცესიის მონაწილენი, რომელნიც მეფის მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი გახდნენ.

1930 წლის იანვარში ძმათა სამარეზე დადგმულ იქნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მოქანდაკე ამხ. მანიზერის მიერ გაკეთებული ძეგლი.

ძეგლი წარმოადგენს მუშის დიდ ფიგურას; მუშას ხელთ უპყრია ლარნაკი [illegible] ფურფლითურთ. კვარცხლბეკის ქვედა ნაწილში არის ბარელიეფი, რომელიც გამოსახავს 1905 წლის 9 იანვარს მუშების დახვრეტის ერთერთ მომენტს.

ლენინგრადში ტრადიციად გადაიქცა, რომ „სისხლიანი კვირის" წლისთავზე მშრომელნი თავს იყრიან „9 იანვრის მსხვერპლთა" სასაფლაოზე, ძმათა სამარესთან, რათა პატივი სცენ დაღუპულთა ხსოვნას.

ხვალ, ძმათა სამარესთან გაიმართება სამგლოვიარო მიტინგი. მოგონებებით გამოვლენ 1905 წლის რევოლუციის მონაწილენი.

მ. ი. ლერმონტოვის ხსოვნის უკვდავყოფა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება შეიქმნას სრულიად-საკავშირო კომიტეტი დიდი რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მ. ი. ლერმონტოვის გარდაცვალების 100 წლისთავი სრულდება 1941 წელს.

სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ა. ა. ფადეევი, თავმჯდომარის მოადგილეებად — ნ. ნ. ასეევი და ო. ი. შმიდტი. სრულიად-საკავშირო კომიტეტის წევრებად დამტკიცებული არიან: კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ს. შჩერბაკოვი, ა. ი. ვიშინსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ფ. გორკინი, პ. ნ. პოსპელოვი, პ. ა. ტიურკინი, ლ. ზ. მეხლისი, პ. ს. პოპკოვი, ვ. ლ. კომაროვი, ა. ნ. ტოლსტოი, მ. ა. შოლოხოვი, ა. ს. ორლოვი, ი. კ. ლუპოლი, პ. ი. ლებედევ-პოლიანსკი, ნ. ლ. მეშჩერიაკოვი, ბ. მ. ეიხენბაუმი, დ. დ. ბლაგოი, ვ. ი. კირპოტინი, ნ. ლ. ბროდსკი, მ. ბ. ხრაპჩენკო, პ. გ. ანტოკოლსკი, ვ. ვ. ივანოვი, ვ. ი. ლებედევ-კუმაჩი, ა. ა. პროკოფიევი, ი. ლ. სელვინსკი, პ. ა. პავლენკო, ნ. ს. ტიხონოვი, ი. ნ. ტინიანოვი, კ. ი. ჩუკოვსკი, ა. ტ. ტვარდოვსკი, ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ი. მ. მოსკვინი, ვ. ვ. ბარსოვა, ი. ლ. ანდრონიკოვი, პ. ი. ჩაგინი, პ. ტიჩინა, ი. კუპალა, გ. ნ. ლეონიძე, სამედ ვურგუნი, გ. სარიანი, ხ. ალიმჯანი, ჯამბული, დეხუტი, კ. მალიკოვი, დურდი კლიჩი, შარიფ კამალი, ფარახი, შოგენცუკოვი, იანდიევი, გ. პლიევი, გ. ცადასი, ტ. ცუგი, კ. კოჩკაროვი, ხ. პლიევი, ფ. ი. ბეზუბოვი.

სრულიად-საკავშირო კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი მ. ი. ლერმონტოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად და მისი შემოქმედების ფართო პოპულარიზაციისათვის და წარუდგინოს ისინი სსრ კავშირის მთავრობას დასამტკიცებლად. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის იანვრის დღეები

35 წლის წინათ დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია. მაშინ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, სათავეში ჩაუდგა რა ხალხის მასების მოძრაობას, პირველად დაიწყო აშკარა გმირული ბრძოლა და ომი გამოუცხადა ძირმომპალ თვითმპყრობელობას. 1905 წლის რევოლუციის დაუვიწყარი კლასობრივი ბრძოლები, რომლებმაც ძირფესვიანად შეარყიეს რუსეთის უზარმაზარი იმპერია, წარმოადგენდნენ „გენერალურ რეპეტიციას" 1917 წლის დიდი სოციალისტური რევოლუციისას, რომელმაც მშრომელნი მიიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე.

1905 წლის რევოლუცია მოულოდნელი არ იყო რევოლუციონერი მარქსისტებისათვის. იგი მომზადა პროლეტარული, გლეხური და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების მთელმა წინა მსვლელობამ. მეფის რუსეთში, რომელსაც ლენინი ხშირად „ხალხთა საპყრობილეს" უწოდებდა, არსებობდა ყველა საჭირო მატერიალური წანამძღვრები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტურ რევოლუციაში მისი გადაზრდისათვის.

„მეფის რუსეთში კაპიტალისტურ ჩაგვრას აძლიერებდა ცარიზმის მხრივ ჩაგვრა. მუშებს სტანჯავდა არა მარტო კაპიტალისტური ექსპლოატაცია, საკატორღო შრომა, არამედ მთელი ხალხის უუფლებობაც. ამიტომ შეგნებული მუშები ცდილობდნენ სათავეში ჩასდგომოდნენ ქალაქისა და სოფლის ყველა დემოკრატიული ელემენტის რევოლუციურ მოძრაობას ცარიზმის წინააღმდეგ. გლეხობას სულ უხუთავდა და უმიწობა, ბატონყმობის მრავალრიცხოვანი ნაშთები, იგი მემამულისა და კულაკის ქაბალაში იმყოფებოდა. მეფის რუსეთში მოსახლე ხალხები განიცდიდნენ ორმაგ ჩაგვრას — თავისი საკუთარი და რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ. 1900—1903 წლების ეკონომიურმა კრიზისმა გაამძაფრა მშრომელი მასების უბედურება, ომმა იგი კიდევ უფრო გაამწვავა. ომში დამარცხება აძლიერებდა მასებში ცარიზმისადმი სიძულვილს. ივსებოდა ხალხის მოთმინების ფიალა" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 67).

ბოლშევიკები მასებს რევოლუციისათვის ამზადებდნენ, განუწყვეტლივ აწარმოებდნენ გადამწყვეტ ბრძოლას მუშათა კლასის ყველა მტრებთან, ყველა შემთანხმებლებთან და ბურჟუაზიის აგენტებთან მუშათა მოძრაობის შიგნით.

ჟანდარმთა თვითნებობის ქვეყანაში ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის მეთაურობით უშიშრად ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას, კლასობრივი ბრძოლისა და სახალხო აღშფოთების ყოველ ნაპერწკალს აღვივებდნენ საერთო რევოლუციურ ხანძრად.

1904 წლის დეკემბერში ბაქოში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა ნავთის სარეწაოების მუშათა გრანდიოზული გაფიცვა. ამ გაფიცვამ განსაკუთრებული როლი ითამაშა 1905 წლის შემდგომი ამბებისათვის. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" ბაქოს გაფიცვას უწოდებს ჭექა-ქუხილის წინამორბედ ელვას დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ.

ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად ბაქოს მუშებმა, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, წამოაყენეს მოთხოვნები რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შესახებ, დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, დემოკრატიულ თავისუფლებათა შესახებ. საგაფიცვო კომიტეტს სათავეში ედგნენ ბოლშევიკები — ამხანაგები ა. ჯაფარიძე, ა. სტოპანი, ი. ფიოლეტოვი და სხვ.

შესანიშნავმა ორგანიზებულობამ და სიმტკიცემ, რომლებიც ბაქოს გაფიცულმა მუშებმა გამოიჩინეს, ნავთის მრეწველები აიძულა დათმობაზე წასულიყვნენ. გაფიცვა მუშათა დიდი გამარჯვებით დამთავრდა: დადებულ იქნა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულება მუშებსა და მეწარმეთა შორის. შემცირებულ იქნა სამუშაო დღე, გადიდებულ იქნა ხელფასი, შეზღუდულ იქნა თვითნებობა მუშების დაჯარიმებაში და სხვ. მთავარი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ შესანიშნავმა გაფიცვამ და მისმა გამარჯვებამ რუსეთის მუშათა კლასში შეჰქმნეს შეუდრეკელი ნებისყოფა შემდგომი ბრძოლისადმი.

„ძირითადი, რაც დეკემბრის ბრძოლამ მოგვცა, — სწერდა შემდეგში ამხანაგი სტალინი, — ეს არის საკუთარი ძალების რწმენა, გამარჯვების რწმენა, ახალი ბრძოლებისათვის მზადყოფნა, იმის შეგნება, რომ კაპიტალისტური მონობის ბორკილები შეიძლება დაიმსხვრეს „მხოლოდ ჩვენივე საკუთარი ხელით"..."

* * *

მიესალმებოდა რა ბაქოს პროლეტარების გმირულ ბრძოლას, ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტი მიმართავდა მუშებს მოწოდებით მხარი დაეჭირათ გაფიცული ბაქოელი ამხანაგებისათვის და მოემზადებინათ საყოველთაო გაფიცვა პეტერბურგში.

პეტერბურგის კომიტეტი სწერდა: „მაშ უფრო მჭიდროდ დაირაზმეთ, ამხანაგებო, სოციალ-დემოკრატიის დროშების ქვეშ, და დაე ბაქოს მუშათა გაბედულმა გამოსვლამ გამოხმაურება ჰპოვოს მათ პეტერბურგელ ძმებთა გულში, მაშ გავაათკეცოთ ენერგია ჩვენს ყოველდღიურ რევოლუციურ მუშაობაში. ყველგან და ყოველთვის განვმარტოთ იმ ამბების აზრი, რომლებიც სამხრეთში ხდება, შევაგროვოთ ფული გაფიცულთა დასახმარებლად, მოვამზადოთ ნიადაგი ასეთივე გრანდიოზული გაფიცვისათვის აქ, პეტერბურგში" („პეტერბურგელი ბოლშევიკების ფურცლები", ტ. I, გვ. 147).

1905 წლის რევოლუციური ქარიშხლის დასაწყისს წარმოადგენდნენ 9 იანვრის ამბები *) ეს დღე ლენინმა შეაფასა როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის პირველი დღე.

1905 წლის 3 იანვარს პუტილოვის ქარხანაში პეტერბურგში დაიწყო გაფიცვა. მისი საბაბი გახდა ქარხნის ადმინისტრაციის მიერ ოთხი ძველი მუშის დათხოვნა. გავარვარებულ წინარევოლუციურ ატმოსფეროში იმ დროისათვის ამ ჩვეულებრივმა შემთხვევამ გამოიწვია მუშათა ორგანიზებული გამოსვლა. უკვე მეორე დღეს გაფიცულმა პუტილოველებმა წამოაყენეს მოთხოვნები რვასაათიანი სამუშაო დღის, ხელფასის გადიდებისა და სხვ. შესახებ.

რევოლუციური ალტყინება ედებოდა პეტერბურგის მუშათა სულ უფრო და უფრო ფართო მასებს.

გადადიოდა რა ქარხნიდან ქარხანაში, ფაბრიკიდან ფაბრიკაში, გაფიცვა მრისხანედ იზრდებოდა და 7 იანვრისათვის მოედო მთელ პეტერბურგს. გახდა საყოველთაო.

140 ათასზე მეტი პეტერბურგელი მუშის ენერგიამ და სოლიდარობამ შეაშინეს მეფის მთავრობა, და მან გადასწყვიტა მიემართნა ბინძური და საზიზღარი პროვოკაციისათვის, რომ სისხლის მორევში ჩაეხრჩო მუშათა მოძრაობა. ამისათვის მთავრობამ გამოიყენა თავისი საიდუმლო აგენტი — პროვოკატორი ხუცესი გაპონი.

გაპონი ოხრანკის უბრალო აგენტი როდი იყო. თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე იგი, ითვალისწინებდა რა ზუბატოვშჩინის ჩავარდნას, გულმოდგინედ მალავდა თავის კავშირს პოლიციასთან.

წინდახედულად მოქმედებდა ეს არამზადა, ცდილობდა რა მუშათა კლასის რიგებში შეეტანა იდეური გახრწნილება და დემორალიზაცია. დემაგოგიური სიტყვების ხელოვნური პათოსი, ხუცესის ანაფორა და ხუცესის თვალთმაქცობა, ჯაშუშის ჩვევები და პოლიციის ფული—ყველაფერი გამოიყენა გაპონმა მუშების მოსატყუებლად.

როდესაც გაიშალა პეტერბურგის მუშათა ძლიერი გაფიცვა, გაპონმა იკისრა მეფის ოხრანკისათვის დახმარების აღმოჩენა. თავისი საზოგადოების კრებებზე მან წინადადება შეიტანა გამოემუშავებინათ მეფისადმი პეტიცია (თხოვნა) და 9 იანვარს, კვირა დღეს, მოეწყოთ მშვიდობიანი და უიარაღო მსვლელობა ბაირაღებით, ხატებით და მეფის სურათებით ზამთრის სასახლისაკენ ნიკოლოზ II-სათვის ამ პეტიციის გადასაცემად.

გაპონმა გამოიყენა მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილის ბრმა რწმენა მეფისადმი, მათი პოლიტიკური მოუმწიფებლობა და ტრაგიკული გულუბრყვილობა. მისი პროვოკატორული გეგმა წინასწარ ითვალისწინებდა უიარაღო მუშების ავაზაკურად გაჟლეტას.

ბოლშევიკები მუშებს ეუბნებოდნენ, რომ მეფესთან წასვლა არ არის საჭირო, რომ უიმედოა გვირგვინოსანი ტირანის მიერ თავისუფლების ბოძების ლოდინი, ამაოა ეთხოვოს მას მუშების დაცვა და მათთვის სამართლიანობა.

ბოლშევიკები გამოდიოდნენ მიტინგებზე, მუშათა კრებებზე და მუშებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ბოლშევიკები მუშებს აფრთხილებდნენ, რომ მათ სროლას აუტეხენ, რომ თვითმპყრობელობა პროვოკაციას ამზადებს. მაგრამ მუშათა უდიდეს ნაწილს, მიუხედავად კაპიტალისტების თვითნებობის წინააღმდეგ ამხედრებისა, კიდევ არ სურდა გამოთხოვებოდა მეფისადმი რწმენას.

* * *

ჩაიხანებში, სადაც მუშები იკრიბებოდნენ, განუწყვეტლივ, მთელი დღეების განმავლობაში სწარმოებდა კრებები. აქ მუშები ფართოდ იხილავდნენ პეტიციას, აყენებდნენ თავიანთ მოთხოვნებს, შეჰქონდათ პეტიციაში დამატებები და შესწორებები.

ბოლშევიკების გავლენით პეტიციაში შეტანილ იქნა მოთხოვნები დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, გლეხებისათვის მიწის გადაცემის, რვასაათიანი სამუშაო დღის დაწესების, რუსეთ-იაპონიის ომის შეწყვეტის, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების თავისუფლების შემოღების, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ.

პეტიცია იწყებოდა მუშების მდგომარეობის აღწერით. მასში ნათქვამი იყო:

„ჩვენ, ქალაქ პეტერბურგის მუშები, ჩვენი ცოლები, შვილები და უმწეო მოხუცი მშობლები, მოვედით შენთან, ხელმწიფეო, სიმართლისა და დაცვის სათხოვნელად. ჩვენ გავღატაკდით, ჩვენ გვჩაგრავენ, გვაკისრებენ აუტანელ შრომას, ჩვენ აბუჩად გვიგდებენ, ჩვენში არ ხედავენ ადამიანებს... ჩვენ ვითმენდით კიდეც, მაგრამ ჩვენ უფრო და უფრო შორს გვაგდებენ სიღატაკის, უუფლებობისა და უვიცობის მორევში, ჩვენ სულს გვიხუთავს დესპოტიზმი და თვითნებობა... მოთმინების ფიალა აივსო. ჩვენთვის დადგა ის საშინელი მომენტი, როდესაც სჯობია სიკვდილი, ვიდრე აუტანელი ტანჯვა-წამების მოთმენა".

9 (22) იანვრის დილით შესაკრებ პუნქტებზე დაიწყეს თავმოყრა ასიათასობით მუშებმა. ცხრა-ათი საათისათვის ხალხის მასები მუშათა რაიონებიდან დაიძრნენ ზამთრის სასახლის მოედნისაკენ. ისინი მიდიოდნენ უიარაღოდ, ბაირაღებითა და მეფის სურათებით. ზოგან გაისმოდა ხმები, რომ საჭიროა იარაღის მომარაგება, რომ ჯარები სროლას აუტეხენ. მაგრამ ცალკეული ხმები ინთქმებოდა ხალხის აღშფოთებულ ყვირილში.

1905 წ. 9 იანვარს ვასილიევის კუნძულზე.

მხატვ. მაკოვსკის ნახატი.

ლოცვების გალობით მრავალათასიანი მასა მიდიოდა მოედნებითა და ქუჩებით. გარშემო დაყენებული იყვნენ ჯარისკაცები და ყაზახები. ნარვის ჭიშკართან მსვლელობას სროლა აუტეხეს.

ესროდნენ უიარაღო, მოწიწებით მიმავალ ხალხს.

პუტილოველი მუშები დახვრიტეს ნარვის ჭიშკართან. ვიბორგის მხრის მუშები დახვრიტეს ბოლშაია დვორიანსკაია ქუჩაზე, მეორედ კი მათ აუტეხეს სროლა, როდესაც ისინი მიდიოდნენ პეტერბურგის რაიონთან ერთად. ნევის რაიონის მუშებს ესროლეს შლისელბურგის გზატკეცილზე.

განსაკუთრებით საშინელი და მკაცრი იყო ანგარიშის გასწორება ალექსანდრეს ბაღთან და სასახლის მოედანზე, სადაც თავი მოიყარა ყველაზე მეტმა მუშამ. პირველად ხალხს თავს დაესხა კავალერია, შემდეგ თავზარდაცემულ ხალხს საყვირის სიგნალით პირდაპირ დაუწყეს სროლა. ალექსანდრეს ბაღის ხეებიდან გადმოცვივდნენ ტყვიით განგმირული ბავშვები, რომლებიც მაღლა ასულიყვნენ იმ იმედით, რომ მეფეს უკეთესად დაინახავდნენ. ბაღის თუჯის ღობეზე ჩამოეკიდნენ მუშების, მათი ცოლების, მშობლების გვამები...

საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც მეფემ მოაწყო, სწარმოებდა წინასწარ შემუშავებული და ზუსტად მოფიქრებული გეგმის მიხედვით. მას ხელმძღვანელობდა გვარდიის სარდალი, დიდი მთავარი ვლადიმერი.

„ხოცვა-ჟლეტის ხელმძღვანელის, მეფის ბიძის ვლადიმერის სამხედრო გეგმა, — სწერდა ლენინი,—მდგომარეობდა იმაში, რომ გარეუბნები, მუშათა გარეუბნები არ შეეშვა ქალაქის ცენტრში. ჯარისკაცები ყველანაირად დაარწმუნეს, რომ მუშებს უნდათ ზამთრის სასახლის დანგრევა (ხატებით, ჯვრებით და პეტიციებით!) და მეფის მოკვლა. სტრატეგიული ამოცანა მდგომარეობდა ხიდებისა და სასახლის მოედნისაკენ მიმავალი მთავარი ქუჩების დაცვაში. და „სამხედრო მოქმედებათა" მთავარ ადგილებს წარმოადგენდნენ მოედნები ხიდებთან..., მუშათა უბნებიდან ცენტრისაკენ მიმავალი ქუჩები..., ბოლოს, სასახლის მოედანი... სამხედრო მოქმედებათა ამოცანა, რასაკვირველია, მეტად გაადვილებული იყო იმით, რომ ყველამ საუცხოოდ იცოდა, სად მიდიან მუშები, იცოდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი შესაკრები პუნქტი და ერთი მიზანი. მამაცი გენერლები „წარმატებით" მოქმედებდნენ მტრის წინააღმდეგ, რომელიც მიდიოდა უიარაღოდ, რომელმაც წინასწარ აუწყა ყველას, თუ სად და რისთვის მიდის... ეს იყო უმწეო და მშვიდობიანი ხალხის მასების ყველაზე საზიზღარი, ბოროტი მკვლელობა" (ტ. VII, გვ. 87).

ათასზე მეტი მოკლული და ორი ათასზე მეტი დაჭრილი—ასეთია 9 იანვრის სისხლიანი შედეგი, იმ დღისა, რომელიც ისტორიაში შევიდა „სისხლიანი კვირის" სახელწოდებით.

მაგრამ ამ დღეს სხვა შედეგიც აქვს: „პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთი დღის განმავლობაში ისეთი ნაბიჯი წასდგა წინ, როგორიც მას არ შეეძლო წაედგა ჩვეულებრივი, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებისა და წლების განმავლობაში" (იქვე, გვ. 79).

უკვე 9 იანვარს საღამოს პეტერბურგის ქუჩებში და მოედნებზე დაიწყო სტიქიური მიტინგები. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მუშებს ცარიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ, შეიარაღებისაკენ, ამ საშინელი ბოროტმოქმედების ჩამდენთა წინააღმდეგ შურის საძიებლად. და ბოლშევიკების მოწოდების საპასუხოდ უამრავი ხალხი უდიდესი სიძულვილით ყვიროდა: „ძირს თვითმპყრობელობა! ძირს სისხლიანი ცარიზმი!".

ვასილიევის კუნძულზე, მე-4 ხაზისა და სრედნი პროსპექტის კუთხეში, მუშებმა აღმართეს ბარიკადები. წააქციეს ტელეგრაფის ბოძები, საიდანღაც მოიტანეს ცარიელი კასრები, ყუთები, მორები... ბარიკადების თავზე აფრიალდა წითელი დროშა. ბარიკადების დამცველებს იარაღი არა ჰქონდათ, მაგრამ ქვებსა და აგურებს ესროდნენ ყაზახებს, რომლებიც მათზე იერიშით მიდიოდნენ. ერთი ბოლშევიკის ხელმძღვანელობით მუშებმა გასტეხეს შაფის იარაღის მაღაზია, შეიარაღდნენ უტარო ხმლებით და ძველებური სატევრებით; სხვა იარაღი მაღაზიაში არ აღმოჩნდა. ზოგიერთ რაიონებში მუშებმა იარაღი აჰყარეს ჟანდარმებს, ოფიცრებს, ჯარისკაცებს.

ბარიკადები აღმართულ იქნა მალი პროსპექტზე, მე-12 ხაზზე; მუშებმა სცადეს ბარიკადის აშენება თვით ნევის პროსპექტზედაც.

ვასილიევის კუნძულის რაიონში მუშებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ხელთ იგდეს სტამბა და მასში დაბეჭდეს 10 ათასი ფურცელი შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოწოდებით. ფურცელი უკვე 10 იანვარს გავრცელდა მუშებში. აი მისი შინაარსი:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მოქალაქენო! გუშინ თქვენ ნახეთ თვითმპყრობელური მთავრობის სიმხეცე! ნახეთ ქუჩებში დაღვრილი სისხლი! ნახეთ ასობით მოკლული მებრძოლი მუშათა საქმისათვის, ნახეთ სიკვდილი, გაიგონეთ დაჭრილი ქალებისა და უმწეო ბავშვების კვნესა! მუშებს სისხლი და ტვინი დაანთხიეს ქვაფენილზე, რომელიც მათივე ხელით არის დაგებული. მერე ვინ გაგზავნა ჯარი, ვინ დაუმიზნა თოფები და ტყვიები მუშათა გულს?—მეფემ, დიდმა მთავრებმა, მინისტრებმა, გენერლებმა და მეფის კარის სხვა არამზადებმა.

ისინი მკვლელები არიან! — სიკვდილი მათ! იარაღისაკენ, ამხანაგებო, ხელში ჩაიგდეთ არსენალები, იარაღის საწყობები და იარაღის მაღაზიები. დაანგრიეთ, ამხანაგებო, საპყრობილეები, გაანთავისუფლეთ თავისუფლებისათვის მებრძოლნი. გაანადგურეთ ჟანდარმთა და საპოლიციო სამმართველოები და ყველა სახაზინო დაწესებულებები. დავამხოთ მეფის მთავრობა, დავაყენოთ [illegible] თის ს.-დ. მუშათა პარტია". (იხ. ლენინი, ტ. VII, გვ. 112-113).

* * *

დაწყებული რევოლუციური ბრძოლების ამ დღეებში დიდი როლი შეასრულა პირველმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ვპერიოდმა". მისი დამფუძნებელი და რედაქტორი ვ. ი. ლენინი, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებული იყო რუსეთში ცხოვრების შესაძლებლობას, ყველა მიმდინარე ამბების კურსში იყო და მუდმივი ცოცხალი კავშირი ჰქონდა ბოლშევიკური იატაკქვეშეთის მუშაკებთან. გაზეთ „ვპერიოდის" ფურცლებზე ლენინი, ფაქტებისა და ვითარების ცოდნით, შეიარაღებული, გამოდიოდა რევოლუციური ამბების გარკვეული პოლიტიკური შეფასებით, აყენებდა ბრძოლის ლოზუნგებს, პარტიის გარშემო რაზმავდა მასების სტიქიურ მოძრაობას.

გაზეთ „ვპერიოდის" პირველი ნომერი გამოვიდა 1904 წლის 22 დეკემბერს ჟენევაში. ეს იყო ის დრო, როდესაც ბოლშევიკები გამთიშველი მენშევიკების წინააღმდეგ გამძაფრებულ ბრძოლაში ამზადებდნენ პარტიის III ყრილობას.

როგორც ცნობილია, მენშევიკებმა პლეხანოვის დახმარებით მოახერხეს „ისკრის" ხელში ჩაგდება და გადააქციეს იგი თავიანთ ფრაქციულ ორგანოდ, რომელსაც პარტიაში გათიშვა და დეზორგანიზაცია შეჰქონდა.

ლენინის მიერ რუსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების აქტიური დახმარებით შექმნილი გაზეთი „ვპერიოდი" სათავეში ჩაუდგა ბრძოლას პარტიულობისათვის, რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისათვის. ამხანაგი სტალინი, რომელიც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სათავეში იდგა, დიდად დაეხმარა ლენინს გაზეთის შექმნაში. ბოლშევიკების კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, შეჰქმნა გაზეთ „ვპერიოდის" ლიტერატურული ჯგუფი და ამიერ-კავკასიაში მისი ნომრების გადაბეჭდვის მოწყობასაც კი აპირებდა. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა იმ სტატიებსა და წერილებს, რომლებსაც იგი ხშირად იღებდა კავკასიელი ბოლშევიკებისაგან.

პეტერბურგში 1905 წლის 9 იანვრის ამბებს „ვპერიოდი" სწრაფად გამოეხმაურა ლენინის სტატიით — „რევოლუციის დაწყება რუსეთში", რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთის მეოთხე ნომერში. მოუწოდებდა რა პროლეტარიატს დაუყოვნებლივ შეიარაღებისაკენ, ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთში დაწყებულ რევოლუციას აქვს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. რომ იგი „...იქნება მობრუნების პუნქტი ყველა ქვეყნის ისტორიაში, იგი შეუმსუბუქებს საქმეს ყველა ეროვნების ყველა მუშას ყველა სახელმწიფოში, დედამიწის ყველა კუთხეში...

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს აჯანყებულ პროლეტარიატს!"—ამ ლოზუნგებით თავდება ვლადიმერ ილიას-ძის ისტორიული სტატია (ლენინი, ტ. VII, გვ. 81).

მზარდი რევოლუციის პირობებ- [illegible] „პროლეტარი", რომელმაც იგი შესცვალა, იყვნენ ბოლშევიზმის მებრძოლი ორგანოები, რომლებიც იცავდნენ რევოლუციური მარქსიზმის ტაქტიკას, ამოძრავებდნენ მასებს ორგანიზებული შეიარაღებული ბრძოლისათვის სისხლიან ცარიზმთან.

* * *

9 იანვარი გარდატეხის მომენტი იყო რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

მთელ ქვეყანას მოედო ცარიზმის სისხლიანი ბოროტმოქმედებით გამოწვეული აღშფოთების ტალღა. რუსეთის ყველა ქალაქში მუშები დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლას იწყებდნენ.

პეტერბურგის შემდეგ გამოვიდა მოსკოვი. 10 იანვარს საღამოსათვის მოსკოვში უკვე გაფიცული იყო ქალაქის 24 საწარმოს 10 ათასზე მეტი მუშა. 11 იანვარს გაფიცვას შეუერთდნენ კიდევ ორმოცი ახალი საწარმოს მუშები.

ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტმა ენერგიული მუშაობა გააჩაღა. მისი პროკლამაციები ვრცელდებოდა მოსკოვის მუშათა კვარტალში.

მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა ჯარსა და პოლიციას უბრძანა მზად ყოფილიყვნენ. ზამოსკვორეჩიეს, სადაც მოძრაობა განსაკუთრებული აქტივობით სწარმოებდა, ალყა ჰქონდა შემორტყმული. ქუჩებში მუშების შესაშინებლად დადიოდა არტილერია.

ოხრანკა და პოლიცია ყოველდღე აწარმოებდნენ ბოლშევიკებისა და მოწინავე მუშების ჩხრეკასა და დაპატიმრებებს. მარტო ერთი კვირის განმავლობაში დააპატიმრეს 164 კაცი. ხელმძღვანელთა დაპატიმრებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა მოსკოვის მუშათა ძალა და ორგანიზებულობა. მაგრამ მოსკოვში იანვრის გაფიცვა შეწყდა მხოლოდ 19-20 იანვარს. მოსკოვის პროლეტარიატმა დროებით დაიხია უკან, დაიხია იმისათვის, რომ წელში გამართულიყო და ახალი ძალით გამოსულიყო.

* * *

ამიერ-კავკასიაში პეტერბურგის მუშათა დახვრეტის საპასუხოდ გაიშალა ძლიერი მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების კავკასიის კავშირის კომიტეტი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. 9 იანვრის ამბებმა მაღლა ააგორა რევოლუციური ტალღა ამიერ-კავკასიაში და გამოიწვია მუშათა მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის შემდგომი განვითარება.

თბილისში 18 იანვარს შესდგა მუშათა საყოველთაო გაფიცვა. მოძრაობა გადავიდა სასწავლებლებშიც. მუშათა რევოლუციური ბრძოლა თანდათანობით იზრდებოდა. 24 იანვარს მოხდა შეიარაღებული დემონსტრაცია, რომელიც დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით და სროლით. დაიჭრა 8 მუშა და მოკლულ იქნა რამდენიმე პოლიციელი.

საყოველთაო გაფიცვებმა იფეთქეს ბაქოში, ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში.

ქუთაისში მუშათა დემონსტრაციამ იერიში მიიტანა საპყრობილეზე.

ბათუმში დემონსტრაციის დროს მოკლულ იქნა ყაზახთა ურიადნიკი თავადი გურიელი. „საინტერესოა მოსახლეობის დამოკიდებულება. ყველანი გახარებულია და ცდილობს თავისი დამოკიდებულების გამოჩენას,—სწერდა ლენინური გაზეთი „ვპერიოდი". — მეეტლეები სამ დღეს არ გამოსულან ბირჟაზე, მათ არ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ დაკრძალვაში; ყველა მეკუბოემ უარი განაცხადა კუბოს გაყიდვაზე, მესამე დღეს ფოთიდან მოიტანეს კუბო, მაგრამ მუშებმა იგი დაამსხვრიეს. გონებადაკარგულმა გუბერნატორმა განკარგულება გასცა დაეხურათ მეკუბოეს მაღაზია და მხოლოდ ამგვარად იშოვნეს კუბო" (იხ. „ვპერიოდი" № 2, 1905 წ.).

საქართველოს გლეხობა აქტიურად უჭერდა მხარს მუშების გამოსვლებს. თებერვალში მთელ რიგ მაზრებში—გორის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, დუშეთის, თბილისის და თელავის მაზრებში სწარმოებდა გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები. „გურიაში, — სწერდა გაზეთი „ვპერიოდი", — ოფიციალური ხელისუფლება დაუძლურებულია და ფაქტიურად მას უგულებელყოფენ. პროვინციის მართავს სახალხო კომიტეტი" (იქვე).

ამიერ-კავკასიის მუშები, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, მიდიოდნენ გაჩაღებული სახალხო რევოლუციის პირველ რიგებში. ჩვენი პარტიის მესამე ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა რევოლუციურ ბრძოლას ამიერ-კავკასიაში და ლენინის წინადადებით მხურვალე სალამი გაუგზავნა კავკასიის გმირულ პროლეტარიატს და გლეხობას.

* * *

ტომსკში 18 იანვარს მოწყობილ იქნა მუშათა შეიარაღებული დემონსტრაცია. მისი ერთერთი ორგანიზატორი იყო ცხრამეტი წლის სერგეი მირონის-ძე კიროვი. მან დაბეჭდა და ქარხნებში გაავრცელა პროკლამაცია: „ამხანაგებო! რუსეთში დაიწყო რევოლუცია!" პროკლამაცია აღწერდა პეტერბურგში მომხდარ ამბებს და მოუწოდებდა ცარიზმთან შეიარაღებული ბრძოლისაკენ.

დემონსტრაციის დროს ტომსკში რამდენიმე რევოლვერით შეიარაღებული რაზმელები კოლონის წინ მიდიოდნენ. როდესაც ყაზახები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს, პირველმა წყებამ ისროლა მათ. ყაზახები ჯერ გაიქცნენ, მაგრამ შემდეგ დაბრუნდნენ პოლიციასთან ერთად და მუშებს თოფები დაუშინეს. მოკლულ იქნა მედროშე კონონოვი, ს. მ. კიროვის უახლოესი მეგობარი. თვით კიროვს ყაზახის ხმლით ჰქონდა გაჭრილი პალტო. კონონოვის დაკრძალვა, რომელიც კიროვმა მოაწყო, გადაიქცა მრავალათასიან პოლიტიკურ დემონსტრაციად.

1905 წლის იანვრის დღეები იყო ტომსკელი მუშებისა და მათი ახალგაზრდა ხელმძღვანელის სერგეი მირონის-ძე კიროვის პირველი „საბრძოლო ნათლობა".

17 იანვარს გაიფიცნენ კიევის მელითონეები. 15 იანვარს, 9 იანვრის ამბების საპასუხოდ, დაიწყო მუშათა გაფიცვა ბრიანსკში.

ეკატერინოსლავში გაფიცვა მოედო ყველა დიდ ქარხანას. მათ შეუერთდნენ სტამბები, და ქალაქში გაზეთები არ გამოდიოდა.

სარატოვში ოთხშაბათს 19 იანვარს გაიფიცნენ ქარხნებისა და რკინიგზის სახელოსნოების მუშები.

გომელში პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცულებს.

მინსკში 13 იანვარს 2 ათასამდე მუშამ მიატოვა მუშაობა. მეორე დღეს გაფიცვა უფრო გაფართოვდა, მაგრამ მენშევიკების გამთიშველი მოქმედების გამო მან ვერ მიიღო საყოველთაო ხასიათი და 17 იანვარს შესწყდა.

ხარკოვში, დონეცის რაიონში, ოდესაში, ნიკოლაევში, ეკატერინოსლავში, დონის როსტოვში სწარმოებდა განუწყვეტელი საგაფიცვო ბრძოლა.

ვარშავაში, სადაც გაფიცვა საყოველთაო იყო, პოლიციამ ალყა შემოარტყა დემონსტრაციას და დაუნდობლად დახვრიტა რევოლუციური მუშები. ასეთივე ამბები მოხდა რიგაში, სადაც ითვლებოდა 80-მდე მოკლული და 300 დაჭრილი.

არ იყო ქალაქი, სადაც მუშები არ გაფიცულიყვნენ მეფის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად და არ წამოეყენებინოთ პოლიტიკური მოთხოვნები.

1905 წლის იანვარში სულ გაიფიცა 440 ათასი კაცი. „მარტო ერთი თვის განმავლობაში უფრო მეტი, ვიდრე მთელი წინა ათი წლის განმავლობაში!" — აღნიშნავდა ლენინი, მოჰყავდა რა ეს ციფრი (ტ. XIX. გვ. 346).

მთელ ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობა მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!". უფართოესი მასები იწყებდნენ ბრძოლას, შეიგნეს რა საძულველი მეფის წყობილების ძალით დამხობის საჭიროება.

ბოლშევიკების ლოზუნგები ხდებოდნენ ასიათასობით მშრომელთა ბრძოლის ლოზუნგები. იანვრის დღეებმა ისინი მასებისათვის ნათელი და გასაგები გახადეს. ხალხის საყოველთაო შეიარაღების და შეიარაღებული აჯანყების მომზადების ამოცანა რევოლუციის ზრდასთან დაკავშირებით გახდა დღის უშუალო და კონკრეტული ამოცანა.

მენშევიკებს, რომლებიც გამოდიოდნენ ბურჟუაზიის აგენტებად მუშათა მოძრაობის შიგნით, არ უნდოდათ აჯანყება, ეშინოდათ მასების რევოლუციური მოქმედებისა. ისინი მომხრენი იყვნენ რევოლუციის შეკვეცისა, ცარიზმის რევოლუციური დამხობის ნაცვლად მისი „გაუმჯობესებისა" და რეფორმირებისა. მენშევიკების ამ გამცემლური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა მათი დამოკიდებულება პეტერბურგის პროლეტარიატის გმირული გამოსვლისადმი იანვრის დღეებში.

ბურჟუაზიის გულის მოსაგებად მენშევიკები ლაჩრულად უარს ამბობდნენ რევოლუციაზე, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მუშათა კლასი, რომ რევოლუცია ჯერ არც კი დაწყებულა.

„რევოლუცია ჩვენში არ ყოფილა, — ცინისმწამებლურად სწერდა მენშევიკური „ისკრა" 1905 წლის თებერვალში, — იყო მხოლოდ ერთი უაღრესად ფსიქოლოგიური მომენტი — მეფისადმი რწმენა, რომლის გავლენითაც ხალხი წავიდა ქალაქში" („ისკრა" № 86, 1905 წ. 3 თებერვალი, სტატია „9-11 იანვრის ამბები პეტერბურგში").

* * *

იანვრის დღეები წარმოადგენდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისს, იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასაწყისს, რომელშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის მეთაურობით. ზრდიდნენ რა პარტიას რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, ამუშავებდნენ და ავითარებდნენ რა შემდგომ რევოლუციურ თეორიას, რაზმავდნენ რა მუშათა კლასს ბოლშევიკების გარშემო, ამხელდნენ რა პროლეტარიატის შენიღბულ მტრებს და ზრდიდნენ რა მათდამი სიძულვილს, ლენინსა და სტალინს მუშათა კლასი მიჰყავდათ ცარიზმზე იერიშის მისატანად.

რუსეთის პირველი რევოლუციის დიად კლასობრივ ბრძოლებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ისინი წარმოადგენდნენ 1917 წლის ოქტომბრის ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალე პროლოგს, „გენერალურ რეპეტიციას".

1905 წლის იანვრის ამბების დროიდან განვლო ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ბრძოლისა და დიადი შემოქმედებითი მუშაობის 35 წელმა.

ამ წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა განვლო დიადი გამარჯვებათა სახელოვანი გზა. პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამ დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში—სოციალიზმის ეპოქა. სსრ კავშირის მუშათა კლასი და გლეხობა, დარაზმულნი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. მაგრამ ჩვენს ხსოვნაში დღესაც ცოცხალი არიან პეტერბურგის, ბაქოს, მოსკოვის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების იმ გმირ პროლეტართა დაუვიწყარი სახეები, რომელთა გმირულმა მაგალითმა საფუძველი დაუდო რუსეთის პირველ რევოლუციას.

მ. შილოვი



„1905 წლის 9 იანვარი პეტერბურგში. მუშათა დემონსტრაციის დახვრეტა ნარვის ჭიშკართან".

მხატვ. მ. ი. ავილოვის ნახატი.

---

*) აქ და შემდეგ თარიღები მოცემულია ძველი სტილით.

ომი დასავლეთ ევროპაში

ბერლინი, 20 იანვარი (საქდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ მოზელსა და პფალცის ტყეს შორის გერმანიის მზვერავმა რაზმმა საფრანგეთის მზვერავ რაზმთან შეტაკების დროს ხელში ჩაიგდო რამდენიმე ტყვე. გერმანიის ავიაცია საზვერავ ფრენას აწარმოებდა ინგლისზე და საფრანგეთზე. სანაპირო ზონაზე საპატრულო ფრენის დროს საჰაერო ბრძოლა მოხდა ფრონტის საფრანგეთის უბანში. გერმანიის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა 19 იანვარს ღამით კვლავ გადალახა ჰოლანდიის ტერიტორია ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიის მიმართულებით.

○

პარიზი, 20 იანვარი (საქდესი). იუწყებიან, რომ გუშინ ფრონტზე ორივე მხარის ავიაცია მოქმედებდა. მდინარე ბლისის რაიონში, გერმანიის ტერიტორიაზე, გაცხოველებული სროლაა მზვერავ რაზმთა შორის.

პარიზი, 19 იანვარი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება: „გერმანიის ჯარმა განაახლა საზვერავი მოქმედება, რომელიც შეწყვეტილი იყო ძლიერი ყინვის დროს. ვოგეზების ტყიან სექტორში 20 კაცისაგან შემდგარმა გერმანელთა პატრულმა იერიში მიიტანა საფრანგეთის ერთ-ერთ პოსტზე. ორივე მხარე ყუმბარებით იბრძოდა. ბრძოლის შედეგად გერმანელებმა უკან დაიხიეს და რამდენიმე ტყვე დასტოვეს“.

○

ლონდონი, 20 იანვარი (საქდესი). 17 იანვარს თემთა პალატაში შეტანილ იქნა შეკითხვა, საშიში ხომ არ არის მეთევზეთათვის, რომ მცურავი ნაღმები თოფის სროლით მოისპოს. საზღვაო სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა შექსპირმა აღნიშნა, რომ მცურავი ნაღმების მოსასპობად სპეციალური გემები ეწყობა, მაგრამ მოდარაჯე გემებმა თოფის სროლას უნდა მიჰმართონ, რამდენადაც ზედაპირზე მყოფი ნაღმი მეტად საშიშია ნაოსნობისათვის.

სედოველთა გმირობა

კაუნასი, 20 იანვარი (საქდესი). გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი“ სწერს: „მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია იმ 15 საბჭოთა გმირის საგმირო აქტისადმი, რომელნიც ყინულეთის ტყვეობაში იყვნენ 812 დღის განმავლობაში. ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფი, საბჭოთა მკვლევარების მიერ ჩატარებული მეცნიერული მუშაობა კაცობრიობის დიდი გამარჯვებაა სტიქიონთან ბრძოლაში. „სედოვის“ ლაშქრობა მთელი ეპოქაა მეცნიერებაში. „სედოვის“ გმირებით ამაყობს არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხებიც.

გაზეთი დაწვრილებით მოგვითხრობს ყინულმჭრელ „სედოვის“ ლაშქრობის და სედოველთა სამეცნიერო მუშაობის შესახებ და, დასასრულ, სწერს:

„დიდია ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფის მეცნიერული მნიშვნელობა. კაცობრიობა ქედს იხრის სედოველთა გმირობის წინაშე“.

სტეფანსონი „სედოვის“ დრეიფის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 იანვარი (საქდესი). ცნობილმა ამერიკელმა პოლარელმა მკვლევარმა სტეფანსონმა შემდეგი განუცხადა საქდესის კორესპონდენტს „სედოვის“ გმირული დრეიფის დამთავრებასთან დაკავშირებით:

„მე მგონია, რომ „სედოვის“ დრეიფის შედეგები „ფრამის“ ცნობილი დრეიფის შედეგებს უდრის. ეს „სედოვის“ ექსპედიციას პოლარული ექსპედიციების პირველ რიგში აყენებს. გარდა ამისა, „სედოვისა“ და „ფრამის“ დრეიფის სამეცნიერო შედეგთა შედარება ახალ მნიშვნელობას აძლევს ნანსენის მიერ მიღებულ ცნობებს. მეცნიერებს ერთნაირად აინტერესებთ ამ ორი დრეიფის საერთო მსგავსებაცა და მათი სპეციფიკური თავისებურებანიც. ის გარემოება, რომ საბჭოთა პოლარელებმა ჩრდილოეთის უმაღლეს განედს მიაღწიეს, და ის, რომ „სედოვი“ უფრო ახლო დრეიფობდა პოლუსთან, ვიდრე „ფრამი“, დიდ საფუძველს იძლევა მოლოცვისათვის.

მსურს გამოვთქვა, რომ აღტაცებული ვარ ყველა საბჭოთა პოლარელი მკვლევარით. აღტაცებული ვარ იმ მიღწევებით, რომელნიც ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მოიპოვეს როგორც ცალკეულმა საბჭოთა პოლარელებმა, ისე არქტიკის საბჭოთა მკვლევარების მთელმა ჯგუფებმაც, აგრეთვე იმ დახმარებით, რომელსაც საბჭოთა მთავრობა უწევს ამ საქმეს“.

საომარი მოქმედების მიმოხილვა ჩინეთის ფრონტებზე

უცხოელი კორესპონდენტების პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 18 იანვარს შესდგა ჩუნცინში, ჩინეთის ჯარის სარდლობის წარმომადგენელმა სამხრეთ და ცენტრალურ ჩინეთის ფრონტებზე წარმოებული საომარი მოქმედების მიმოხილვა გააკეთა.

სამხრეთ ჩინეთის ფრონტზე, კანტონის სექტორში იაპონიის ჯარის უკან დახევა, რაც 2 იანვარს დაიწყო კონტრშეტევაზე გადასულ ჩინელთა ჯარის შეტევის გამო, გრძელდება. ჩინეთის ჯარი კვალდაკვალ მისდევს რა იაპონელებს, 10 იანვარს ლუნმინ-ცინიუანის ხაზზე (კანტონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით) გავიდა. ამჟამად ჩინელები რამდენიმე მიმართულებით 30-35 კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან კანტონიდან. ამრიგად იაპონელების მიერ კანტონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით დაწყებული შეტევა მარცხით დამთავრდა. დაჰკარგეს რა მრავალი ჯარისკაცი და დიდძალი სამხედრო საჭურველი, იაპონელები იძულებული შეიქნენ სწრაფად დაეხიათ თავდაპირველი პოზიციებისაკენ, რათა თავიდან აეცილებინათ სრული განადგურება. ამას გარდა, იაპონელები იძულებული შეიქნენ დაეცალათ მათ მიერ წინათ დაკავებული ზოგიერთი პუნქტი, როგორიც, მაგალითად, ცუნხუა და ხუასიანი (კანტონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით), რაც თავის დროზე იაპონელების მიერ კანტონის დაცვის გარე ხაზის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდა.

ნანინის სექტორში (გუანსის პროვინცია) იაპონელთა მოქმედება მე-5 დივიზიის ნაწილების გადმოსხმით დაიწყო, მაგრამ, დიდი ზარალის გამო, ამ დივიზიამ ვერ შესძლო მის წინაშე დასახული ამოცანის შესრულება. უფრო მეტი, იგი სრული განადგურების საშიშროების წინაშე იდგა. მაშინ იაპონიის სარდლობამ ამ რაიონში გადმოიყვანა ფორმოზის ჯარის ერთი ბრიგადა. მაგრამ ვერც ამის შემდეგ იქნა შესრულებული იაპონიის სარდლობის მიერ დასახული ამოცანა — ხელში ჩაეგდოთ ბინიანი. იაპონელთა საომარმა მოქმედებამ ამ რაიონში არ გამოიღო მათთვის სასურველი შედეგი. ბრძოლა კლდეკარ გუნლინგუანისათვის (ნანინ-ბინიანის გზატკეცილზე) ჩინელი ჯარის გამარჯვებით დამთავრდა. 31 დეკემბერს, მეოთხეჯერ გამორეკეს რა აქედან იაპონელები, ჩინელებმა არა მარტო შეინარჩუნეს გუნლინგუანი, არამედ წინაც წაიწიეს და 4 იანვარს ძიუტანი დაიკავეს. ამჟამად იაპონელებმა სასწრაფოდ გადაიყვანეს ამ რაიონში მაშველი ძალები, დაახლოებით ერთი დივიზიის რაოდენობით. როდესაც იაპონიის მაშველი ჯარები ნანინის რაიონში მიიწევენ, ჩინელები მათ კომუნიკაციებს გადაუჭრიან ხოლმე და საშუალებას უსპობენ იაპონიის სარდლობას მოამარაგოს თავისი ჯარი.

ცენტრალური ჩინეთის ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ტუნჩენის რაიონში (ხუბეის პროვინციის სამხრეთი ნაწილი) იაპონელებმა, რომელთაც მაშველი ჯარი მოუვიდათ პუციდან და ძუნიანიდან, აქტიური ოპერაციები დაიწყეს, მაგრამ, დიდი ზარალის გამო, იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება ამ უბანზე.

ხუბეის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში 11 და 12 იანვარს იაპონელებმა შეტევა დაიწყეს ჩრდილოეთ-დასავლეთი მიმართულებით, ჯუსიანის რაიონში. ჩინელებმა სწრაფად მოუყარეს თავი აქ რეზერვებს და უკუაგდეს იაპონელთა ნაწილების შეტევა.

ჩუნცინი, 20 იანვარი (საქდესი).

ამერიკის ზანგების გაზეთი ჯალათ მანერჰაიმის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 იანვარი (საქდესი). ზანგების გაზეთი „ნიუ-ჯერსი ჰერალდ ნიუსი“, რომელიც ნიუარკში გამოდის (ნიუ-ჯერსის შტატი) ილაშქრებს ცრუ ცნობების წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკის გაზეთები ავრცელებენ ფინეთში საბჭოთა კავშირის მოქმედების შესახებ. „ჩვენ, — სწერს გაზეთი, — გულწრფელად თანავუგრძნობთ ფინეთის ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას; ასევე გამოვთქვამდით ჩვენს თანაგრძნობას 1919-1920 წლებში, როცა მანერჰაიმი ფინელ მუშებსა და გლეხებს ხოცავდა. მანერჰაიმმა მაშინ იარაღი მიიღო ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებისაგან, რომლებიც მას იმიტომ ეხმარებოდნენ, რომ ფინელ ხალხს ჰსურდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ყოფილიყო“.

გარდაიცვალა სენატორი ბორა

ნიუ-იორკი, 20 იანვარი (საქდესი). მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სენატორი ბორა.

ბორა დაიბადა 1865 წელს. იგი რესპუბლიკელთა პარტიის გამოჩენილი მოღვაწე იყო და მრავალი წლის განმავლობაში მეთაურობდა იზოლაციონისტების **ოპოზიციას.**

ჩაიშალა „დეილი უორკერის“ წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობა

ლონდონი, 20 იანვარი (საქდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ თავის ფურცლებზე სიმართლეს ამცნობს მუშათა მასებს, ამხილებს მეორე იმპერიალისტური ომის გაჩაღებაში მთავრობასთან თანამშრომლობის იმ პოლიტიკას, რომელსაც სიტრინი და კომპანია ეწევა. ამით გაბოროტებულმა ინგლისის ტრედუნიონების კონგრესის შვიდმა ლიდერმა სიტრინის მეთაურობით სასამართლო პროცესი აღძრა „დეილი უორკერის“ რედაქციის წინააღმდეგ. სიტრინი და კომპანია თავის სარჩელში მოითხოვდნენ გაზეთ „დეილი უორკერის“ შემდგომი გამოსვლის აკრძალვას.

გუშინ სასამართლოს დახურულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ეს „საქმე“, მაგრამ სიტრინისა და სხვათა პრეტენზიები იმდენად სასაცილო აღმოჩნდა, რომ მოსამართლემ ვერავითარი განაჩენი ვერ გამოიტანა.

ანდრე ამპერი

(დაბადების 165 წლისთავის გამო)

გენიალური მათემატიკოსი და ფიზიკოსი, გაბედული თეორეტიკოსი, დაუღალავი და დაუცხრომელი ექსპერიმენტატორი ანდრე მარი ამპერი ეკუთვნის მე-18 საუკ. დასასრულისა და მე-19 საუკ. დასაწყისის საფრანგეთის ბუნებისმეტყველთა ყველაზე ბრწყინვალე პლეადას მისი მეცნიერული მოღვაწეობა იმ პერიოდში ხდება, როდესაც რევოლუციის შემდეგ საფრანგეთი ძლევამოსილად მიიწევს წინ, ანგრევს ფეოდალურ-საზოგადოებრივ ურთიერთობას, როდესაც საფრანგეთი ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრად იქცევა, საფრანგეთის მეცნიერება კი ტონის მიმცემი ხდება მსოფლიო მეცნიერული აზროვნების განვითარებაში.



ამპერი დაიბადა 1775 წ. 22 იანვარს ქ. ლიონში. 1793 წ. ის ჯერ რეპეტიტორობას იწყებს სახელგანთქმულ პოლიტექნიკურ სკოლაში, რომელიც დაარსებული იყო რევოლუციური მთავრობის მიერ პარიზში, ხოლო შემდეგ ქ. ბურგში იკავებს ფიზიკის კათედრას. აქედან ამპერი მიწვეულ იქნა ისევ პოლიტექნიკურ სკოლაში უკვე მასწავლებლად. 1813 წ. ამპერი არჩეულ იქნა პარიზის აკადემიის წევრად.

ფიზიკაში, მათემატიკასა და მექანიკაში ამპერმა უდიდესი საგანძური შეიტანა. მისმა ელექტროდინამიკის თეორიამ ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ფიზიკის ისტორიაში. წარმატებით გადალახა რა ექსპერიმენტული დაბრკოლებანი, ამპერმა აღმოაჩინა ელექტრონულ და მაგნეტურ მოვლენებს შორის არსებული კავშირი და ზუსტად ფორმულირება მისცა მას. ამ გამოკვლევათა შედეგად ამპერმა ხაზგასმით აღნიშნა განსხვავება მოსვენებაში მყოფ ელექტრობასა და მოძრავ ელექტრობას შორის.

თავის გამოკვლევათა პროცესში ამპერმა არა მარტო დაამუშავა და გამოიყენა ახალი მათემატიკური მეთოდები, არამედ გამოიგონა და გააკეთა მთელი რიგი ლაბორატორიული ხელსაწყოები, რომლებიც საჭირო იყო მისი დასკვნების ექსპერიმენტულად დადასტურებისათვის. ასე, მაგალითად, მან გამოიგონა და გააკეთა დენის ძალის საზომი იარაღი, წოდებული „ამპერმეტრად“, თვით დენის ძალის საზომ ერთეულს კი „ამპერი“ ეწოდა. ამპერმა შექმნა აგრეთვე ე. წ. „მცურავის“ წესი, რომელიც საშუალებას იძლევა გავარკვიოთ მაგნეტური ისრის გადახრის მიმართულება ელექტროდენის გავლენით.

ელექტრომაგნეტიზმის აღმოჩენისთანავე ამპერი შეეცადა ჩასწვდომოდა თვით ელექტრომაგნეტურ მოვლენათა არსს და აეხსნა მისი ბუნება. მან უარჰყო მაგნეტური სითხეების არსებობა და წამოაყენა მაგნეტიზმის მოლეკულარული თეორია, რომლის მიხედვით თვითეული მაგნეტი შედგება ელემენტარულ მაგნეტებისაგან, თვითეული მაგნეტი გარშემოვლებულია წრიული დენებით (ამპერის დენები). ამპერი მუშაობდა აგრეთვე იმ საკითხების გარკვევაზე, თუ რა კავშირი არსებობს სინათლესა და სითბოს შორის, გრავიტაციულ და ელექტრომაგნეტურ მოვლენებს შორის.

ამპერი გარდაიცვალა 1836 წლის 10 ივნისს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საუკუნე გავიდა ამპერის გარდაცვალების შემდეგ, მის შესანიშნავ გამოკვლევებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და ისინი თანამედროვე მეცნიერების სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

ზ. გვინჩიძე

ლენინის დღეებში

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში

ლენინის დღეებთან დაკავშირებით არაჩვეულებრივად გაიზარდა ინტერესი ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალისადმი. გამოფენის დასათვალიერებლად მოდიან მუშების, წითელარმიელების, მოსწავლეების და დიასახლისების ორგანიზებული ექსკურსიები. ექსკურსანტები ჩამოვიდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და საქართველოს რაიონებიდან. სამი დღის განმავლობაში — 17, 18 და 20 იანვარს მუზეუმი 4.000-მდე კაცმა დაათვალიერა.

ავლაბრის ყოფ. არალეგალური სტამბა დაათვალიერა 1.200 კაცმა

ლენინის დღეებში თბილისში ექსკურსანტთა მრავალი ჯგუფი ჩამოვიდა ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

ორი დღის განმავლობაში ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა 1.200-ზე მეტმა კაცმა ინახულა. აქ იყვნენ ექსკურსანტთა ჯგუფები მოსკოვიდან, სომხეთიდან, ბაკურიანიდან, თელავიდან, საქართველოს მთელი რიგი სხვა რაიონებიდან, თბილისის სკოლებიდან და საწარმოებიდან.

საქართველოს ნავთის ლაბორატორული გამოკვლევანი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიური ინსტიტუტის სათბობი წიაღისეულის ლაბორატორიასთან მოწყობილია ახალი დიდი განყოფილება ნავთის შესასწავლად. ამ განყოფილებისათვის უკვე შეძენილია სპეციალური მოწყობილობა და გამოყოფილი არიან მეცნიერული მუშაკები.

განყოფილება იძლევა საქართველოს საბადოების ნავთის ფიზიკურ-ქიმიურ დახასიათებას ჰორიზონტების მიხედვით, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, როგორც ნავთის გამოკვლევისათვის, ისე მისი ამოღებისა და გადამუშავებისათვის. ინსტიტუტის ლაბორატორიაში სწარმოებს აგრეთვე მუშაობა ტყიბულის ფისოვანი ფიქალების შესასწავლად იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას მოტორის სათბობი მასალა.

ნავთის დარგის განყოფილების მუშაობა შეტანილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამუშაოთა გაერთიანებულ გეგმაში. დამყარებულია მუდმივი კავშირი აზერბაიჯანის ნავთის ინსტიტუტთან და სათბობი წიაღისეულის მოსკოვის ინსტიტუტთან. (საქდესი).

ლექციები სარაიონო თეატრების მუშაკთათვის

რაიონულ თეატრებში მომუშავე მსახიობთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველო საქართველოს რაიონულ თეატრებში აწყობს ლექციებს სხვადასხვა საკითხებზე. ამ მიზნით უკვე გაიგზავნა მივლინებაში საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი სერ. გერსამია. იგი კითხულობს ლექციებს თემაზე: „ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა 1879 წელს“. ამხ. გერსამიას საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმმა დაავალა პარალელურად ჩაატაროს ლექციები გიორგი ერისთავის თეატრზეც.

ლექციები უკვე ჩატარდა: სტალინირის, გორის, ხაშურის, ქუთაისის, ბათუმის, ბორჯომის, სიღნაღის, ახალციხის, ტყიბულის, თელავის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხონის და სხვ. თეატრებში. გარდა თეატრების მუშაკებისა, ლექციებს ესწრებოდნენ მასწავლებლები, კულტმუშაკები და სხვ.

ვოკალისტთა მეორე საკავშირო კონფერენცია

ვოკალისტთა საკავშირო მეორე კონფერენციაზე დასასწრებად გუშინ მოსკოვში გაემგზავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის პროფესორ-პედაგოგებისა და სტუდენტების დელეგაცია. დელეგაციაში შედიან პროფესორები ო. ა. შულგინა, ე. ა. ვრონსკი, დოცენტები თ. ა. ჭიჭინაძე, ი. ა. ვესელოვზოროვა, აკომპანიატორი—დოცენტი მ. როგოვსკაია და სტუდენტები ფალიაშვილი, გავრილენკო, ფანიაშვილი, ოვანესიანი და სხვ.

კონფერენცია გაიხსნება 25 იანვარს.

პროფ. ვ. ვ. ვორონინის იუბილე

საქ. ჯანსახკომის ბრძანებით 25 იანვარს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში მოეწყობა საქართველოს ფიზიოლოგთა და სამეცნიერო-საექიმო საზოგადოებათა გამგეობების საზეიმო სხდომა მედინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით. საზეიმო სხდომა მიძღვნილი იქნება პროფ. ვლადიმერ ვასილის-ძე ვორონინის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის თავისადმი.

იუბილესთან დაკავშირებით გამოვა ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სპეციალური ნომერი მიძღვნილი პროფ. ვ. ვორონინის მოღვაწეობისადმი.

იუბილეს ჩასატარებლად გამოყოფილია საიუბილეო ორგკომიტეტი აკად. ი. ბერიტაშვილის, პროფ. ალ. მაჭავარიანის (თავმჯდომარე), პროფესორების: გ. ვაჩაძის, ვ. ვარაზის, კ. ერისთავის, ს. ყიფშიძის, ვ. ჟღენტის, ა. ალადაშვილის, ე. ზაქარაიას, ი. ლორთქიფანიძის, პ. ბუაჩიძის, მ. კოკოჩაშვილისა და დოც. ა. ჰეიშვილის შემადგენლობით.

ა. ი. ჯანელიძის ახალი სამეცნიერო ნაშრომი

მოწინავე მეცნიერმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორდენოსანმა პროფესორმა ა. ი. ჯანელიძემ დაამთავრა დიდი მეცნიერული ნაშრომი „ოკრიბისა და მეზობელი რაიონების გეოლოგია“ (ქუთაისისა და ტყიბულის რაიონები). ეს ნაშრომი მეცნიერის მრავალი წლის მუშაობის ნაყოფია.

ორტომიანი მონოგრაფია შეიცავს ამ რაიონების გეოლოგიას, გეომორფოლოგიასა და სასარგებლო წიაღისეულის — ქვანახშირის, ოზოკერის, ბარიტის, ალებასტრის, სამშენებლო მასალების მოკლე დახასიათებას.

პროფესორ ა. ი. ჯანელიძის ახალი ნაშრომი სასარგებლო სახელმძღვანელო იქნება მეცნიერ მუშაკებისათვის, მშენებლებისათვის, ნიადაგთმცოდნეებისათვის, აგრონომებისათვის და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის.

მონოგრაფია გამოვა რუსულ ენაზე; მას გამოსცემს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, და თანდართული ექნება რუკები, ნახაზები და ფოტოსურათები. (საქდესი).

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონატი

იანვრის ბოლო რიცხვებში თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყება თბილისის მოწინავე მოჭადრაკეთა შეჯიბრება საქალაქო პირველობისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 23 კაცი. მათ შორის—ფირცხალავა, შიშოვი, ვეიზერი, ასოვსკი, ცინცაძე, ფალავანდიშვილი, მირზაევი და სხვ.

შეჯიბრება იწარმოებს ორ ჯგუფად. ხუთ-ხუთი გამარჯვებული თვითეული ჯგუფიდან, ფინალში, ჩემპიონობის გამოსარკვევად, ითამაშებს მაესტრო გოგლიძესთან და მაესტრობის კანდიდატებთან ებრალიძესთან და სოროკინთან. შესაძლებელია ფინალში კონკურსს გარეშე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნას კიდევ ორი საბჭოთა მაესტრო.

საკონკურსო სეანსები

საკონკურსო სეანსებში, რომელიც ჩატარდა მოსწავლეთა არდადეგების დღეებში, პირველობა მოიპოვა მაესტრობის კანდიდატმა ა. ებრალიძემ. 10 პარტიიდან 5 საათის თამაშის შემდეგ ებრალიძემ მოიგო შვიდი პარტია, ერთი ყაიმით დაასრულა და ორი წააგო. იმავე შემადგენლობის წინააღმდეგ გაცილებით უფრო ნაკლებ დროში—3 ს. და 10 წ.—მაესტრო გოგლიძემ მოიგო ანგარიშით 7:3, ფირცხალავამ 6½:3½, სოროკინმა 6:4 და ცინცაძემ 5½:4½. ბავშვთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია მე-47 სკოლის მოწაფემ მესროპოვმა, რომელმაც 5 პარტიიდან მოიგო 3.

გროსმეისტერთა მატჩი

დამთავრდა მატჩი ესტონეთის ჩემპიონ, ახალგაზრდა გროსმეისტერ კერესსა და მსოფლიო ექსჩემპიონ, ჰოლანდიელ გროსმეისტერ ეივეს შორის. მატჩი, რომელიც დიდი სპორტული დაძაბულობით ჩატარდა, დასრულდა კერესის გამარჯვებით ანგარიშით 7½:6½.

ეს გამარჯვება კვლავ აყენებს გროსმეისტერ კერესს მსოფლიო პირველობის ერთერთ მთავარ პრეტენდენტთა შორის.

გეოგრაფიულ საზოგადოებაში

23 იანვარს, საღამოს 7-ნახევარ საათზე, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში შესდგება პოლარული წრისიქეთა ექსკურსიის მონაწილეთა მოხსენებები: თ. ი. ნუცუბიძისა თემაზე—„ტბა იმანდრა და ხიბინის მასივის სხვა ტბები“. ქ. ზაალიშვილისა—„ხიბინის აპატიტები და აპატიტის მრეწველობა“, ბ. ს. ჯანუაშვილისა — „კოლის ნახევარკუნძულის სოფლის მეურნეობის განლაგება“.

დასწრება თავისუფალია.

40 წელი გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან

24 იანვარს შესრულდება 40 წელი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის (1842-1900 წ.) გარდაცვალებიდან. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი უახლოეს დღეებში აწყობს გ. წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სპეციალურ საღამოს.

გ. წერეთლის ნაწერები დიდი პოპულარობით სარგებლობს. პირველი მისი მოთხრობები ცალკე წიგნად გამოვიდა ქუთაისში 1876 წელს. 1884 წელს დაიბეჭდა მოთხრობა „ლომ-კაცი“, 1893 წელს ქუთაისში გამოიცა გ. წერეთლის თხზულებათა ორი ტომი.

გ. წერეთლის ნაწერები „პირველი ნაბიჯი“ და „გულქან“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამჯერ გამოიცა. არაერთხელ გამოიცა აგრეთვე მისი ცალკეული მოთხრობები. 1939 წელს გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოუშვა გ. წერეთლის რჩეულ მოთხრობათა კრებული.

(საქდესი).

ახალი წიგნები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობამ პროფ. ა. შანიძის რედაქციით გამოსცა მეცნიერული ნაკვლევი ქართველურ ენათა შესწავლისათვის—„სვანური პროზაული ტექსტები“. ტექსტები შეკრებილია პროფ. ა. შანიძისა და პროფ. ვ. თოფურიას მიერ.

○

ამავე გამომცემლობამ გამოსცა ბ. ვორონცოვ-ველიამინოვის მეცნიერულ-პოპულარული წიგნი „ლაპლასი“, სადაც აღწერილია გამოჩენილი მათემატიკოსის პიერ ლაპლასის ცხოვრება და მოღვაწეობა.

წიგნი შემოკლებით რუსულიდან სთარგმნა დოც. ე. ხარაძემ.

○

გამოვიდა აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტის „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“.

მენდელეევის საზოგადოებაში

23 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ კორპუსში (კამოს ქ., № 34) შესდგება მენდელეევის საზოგადოების საქართველოს განყოფილების წევრთა საერთო კრება, რომელზეც წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: ა. მ. გახოკიძე—„ბიოზების სინთეზი“ და ს. ნ. ჭრელაშვილი—„პირველი საკავშირო ანალიზური კონფერენცია“.

22 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროფესორ გოგიბერიძის ლექცია თემაზე: „მარქსისტული ფილოსოფიის ლენინური ეტაპი“. რუსულ ენაზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაცია სწარმოებს დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ქართულ და რუსულ ენებზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: რუსთაველის სახელობის—„თოფიანი კაცი“ (ტალ. № 96), **მარჯანიშვილის** სახელობის — „ნაპერწკლიდან“, **მუსკომედია** — „ნაპერწკლიდან“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „პატრიოტი“, ოქტომბერი — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, **დამკვრელი**—„ლენინი 1918 წელს“, **კომკავშირელი** — „სიმღერა მოპოვებული ბედნიერებისა“, **სპარტაკი** — „თოფიანი კაცი“, **ლუქსემბურგის** სახ. — „სიმღერა მოპოვებული ბედნიერებისა“, **26 კომ.** სახ. — „მთის მარში“, **კომინტერნი** — „უმაღლესი ჯილდო“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

23 იანვარს მუდმ. ადგ. ტალ. № 98 5 აბ. 5 წარმ. **კარმენ**	24 იანვარს მუდმ. ადგ. ტალ. № 99 **ტრუბადური**	26 იანვარს მუდმ. ადგ. ტალ. № 100 **ტრავიატა** ერევნის სპენდიაროვის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტის გუსელნიკოვის მონაწილეობით—ალფრედი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939 – 40 წ. სეზონი.

22 იანვარს **ნაპერწკლიდან**	23 იანვარს **მზის დაბნელება საქართველოში**	26 იანვარს **ურიელ აკოსტა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახესტრადის საზამთრო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123. ტელ. 3-66-01.

22 იანვარს
ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი
მიძღვნილი საღამო
I
მონაწ. სახესტრადის ანსამბლი
დავით კავსაძის ხელმძღვანელობით.
II
სახესტრადის მეჩონგურე ქალთა ანსამბლი **ალ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით.
III
სახესტრადის მსახიობები
დასაწყისი 9 საათზე
შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

23 და 24 იანვარს
ოდესის ესტრადის მსახიობთა საღამოები
დაწვრილებით აფიშებში
26, 27, 28, 29, 30 იანვარს
მოსკოვში სომხური დეკადის მონაწილე
სახელმწიფო **ჯაზის კონცერტი**
დამსახ. მოღვაწის ორდენოსან
აივაზიანის მხატვ. ხელმძღ.
დასაწყისი 9 საათზე
ბილეთები იყიდება სახესტრადის სალაროში დილის 11 ს. – 3 ს., საღ. 6 ს. – 10 ს.
სწარმოებს განცხადებების მიღება კოლექტიურ დასწრებაზე. 200

სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი პლეხანოვის, 182
(ყოფ. მუშტაიდი)

22 იანვარს **ნაპერწკლიდან**	23 იანვარს **„უჩინ-მაჩინი“**	24 იანვარს **სკაპენის ოინები**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი.

22 იანვარს მუდმ. ადგ. ტალონი № 96 **თოფიანი კაცი**	23 იანვარს მუდმ. ადგ. ტალ. № 97 **გუშინდელნი**	26 იანვარს მუდმ. ადგ. ტალ. № 98 **თოფიანი კაცი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საცირკო, ტელ. 3-11-44 **დღეს**
სრულიად ახალი პროგრამა
მე-9 მხატვრულ-შემოქმედებითი საცირკო დასის გასტროლები
ატრაქციონი! ილუზია **სოფია მარჩესი** ატრაქციონი! ილუზია
თავისი 18 ასისტენტით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
23 იანვარს დღის წარმოდგენა. დასაწყისი 2 ს. 30 წ.

საქ. ალკკ სახ. თბილისის რკინიგზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა იღებს განცხადებებს საგაზაფხულო შეკრებისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ორთქლმავლის შემკეთებელი ზეინკლები, 2. ვაგონის შემკეთებელი ზეინკლები, 3. ავტომუხრუჭის შემკეთებელი ზეინკლები.

სკოლაში მიიღებიან 6-7 კლასის დამთავრებული ორივე სქესის მოზარდნი 15-დან 18 წლამდე.

ყველა მიღებული უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით 53 მანეთიდან 85 მანეთამდე. სკოლასთან არსებობს სასადილო და საერთო საცხოვრებელი. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ყვავილის აცრის შესახებ, სამი შემოწმებული ფოტოსურათი, პასპორტი (პირადად).

განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 4 საათამდე, გარდა დასვენების დღეებისა. სწავლა დაიწყება 1 მარტს. მისამართი: ლენინის რაიონი, საპჭოს ქ., № 204 (ტრამვაი № 6).

1004 **სკოლის ადმინისტრაცია**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
23 იანვარს დილის წარმოდგენა აბონემენტის გარეშე
სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის საბალეტო სპექტაკლი
კოპელია
2 მოქმ. 3 სურ.
დადგმა ბალეტმეისტერ ს. სერგეევისა. დირიჟორი—დ. დიმიტრიევი.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. დასაწყისი დღის 12 ს. 100

ექიმი
მძინარიშვილი
სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), კანის და ვენერიული სნეულებანი, ქალების და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფების მიღება დილის 8 – 10 საათამდე და საღამოს 7 – 9 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57 მე-4 შესავალი. მე-2 სართული. 4542 5—2

სიდორი აგრაფინა, კოლია ცოლით სითათაშვილები, მარო ორჯონიკიძე შვილებით, არჩილ ცირიკიძე ცოლშვილით იუწყებიან
სამსონ ქაიხოსროს-ძე ტომარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 4696

დედა მატრონე, ძმები ვანო, ტრიფონ, დები ჟუჟუნა, ზინა, რძალი ლეონინა, სიძე ნიკოლოზ ზეგეჭკორი იუწყებიან უნივერსიტეტის სტუდენტის
ნადია რუხაძის
გარდაცვალებას. 4697

მშობლები მარო, პარმენ, დები ვალია, ციალა, ძმები დიმიტრი, მელიტონ, ვიქტორ უჩანეიშვილები, რძლები ნადია მაჭუტაძე, ვენერა მუჩაიძე იუწყებიან
დათიკო უჩანეიშვილის
გარდაცვალებას. 4704

დედა ელენე, და მარგარიტა, ძმა გოგი, რძალი ანიკა იუწყებიან
ნინო ივანეს-ასულ გველესიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/I 7 ს. გამოსვენება 23/I 3 ს. ხიდისთავის შესახვევი № 15. 4695

შალვა, შურა, ეთერ და ნაზიკო ჯიქიები იუწყებიან
ალექსი ცხადაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/I დ. ხობში. 4708

ორთაჭალის ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის წევრები ზაქარაია, ლ. თურმანიძე, ეფრემიძე, პერონიძე, კარტოზია, ბერიშვილი, კ. თურმანიძე, ბოლქვაძე, საჯაია, ცომაია იუწყებიან ეკონომისტ-მგეგმავის
იაკობ ნარსიას
გარდაცვალებას. 4707

დედა დესპინე, ძმა ლადიკო, დები მარუსია ნარსიები, სონია ქმრით ვანო რამაზაშვილით იუწყებიან დაუვიწყარ
იაშა (ივაკი) ხილიბისტროს-ძე ნარსიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა წიგოთაში 24/I 4 ს. 4710

შვილები ბაგრატ, მიშა, ვანო, გრიგოლ, ვლადიმერ, ვასო, ცუცა, დუნია, ქსენია ცხადაიები რძლებით, სიძეებით იუწყებიან ძვირფასი დედის
ივლიტას და მამის ალექსი პეხუს-ძე ცხადაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/I ხობში. 4703

პაშა, ალვასი, ჟენია, სანდრო, გრიშა მინდაძეები, ლადიკო, მარო ცქვიტინიძეები, ისიდორე, ნინო პერტიები, თამარ, ზაქრო მგალობლიშვილები იუწყებიან დაუვიწყარი ბიძის
მიხეილ პეტრეს-ძე მინდაძის
გარდაცვალებას. 4700

მეუღლე ჟოზეფინა შვილებით, დები აკვილინა, ევა, სიძე მირიან ლომჯარია შვილებით იუწყებიან ძვირფას
დათიკო ალფესის-ძე შავიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/I ს. ჭანიეთში (მახარაძე). 4706

ძმები რომან, სიმონ, და მართა, ცოლი მანია, რძლები, ძმისწულები იუწყებიან, რომ 23/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
პლატონ გიორგის-ძე სხირტლაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 4701

ცოლი ლიზა, შვილები მიშა, ანტონ, გოგი, ვახტანგ თედიაშვილები, საშა, თამარ ლომიძეები იუწყებიან
სანდრო თედიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 23/I 4 ს. ფხოვის, 1. 4698

მშობლები გრიშა, დარიკო დემეტრაძეები, პაპა, ბებია ნაცვლიშვილები იუწყებიან პატარა
ნანულის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/I 5 ს. გამოსვენება შაუმიანის, 70. 4709

ცოლი მინადორა, შვილები ვასო, თამარ, ვალოდია, ლიუდმილა, ბართლომე, გივი, რძლები [illegible], გალინა, ქენია და შვილიშვილები იუწყებიან
ილია საყვარელის-ძე ჭანიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/I ს. ხიდისთავში (გურია). 4705

ქმარი მიშა საკაევი, მშობლები ანასტასია, დიანოს, დები სონია, გულიაშა, ძმები არკადი, ილიუშა ჯაგუები, ბებია ციცი, ბაბუა თიმურაზ იუწყებიან
თინას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/I ს. კვათანაში (აბაშა). 4702

ცოლი ანა, შვილები კარლო და ვერიკო, სიძე შალვა გეგეჭკორი, პატარა ლიულუთი იუწყებიან, რომ 23/I 1. ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
სიმონ ამბაკოს-ძე მეგრელიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 4699

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—№ 141